

საშუალო სტოლის ბუნების მეტყველების სახელმძღვანელოთა  
ენობრივი მიმოხილვა

ენის სიწმინდის, ზეპირი მეტყველებისა და წერის კულტურის დაცვა  
ყოველი განათლებული ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. იმის შესახებ  
ბევრჯერ თქმულა და დაწერილა.

მაგრამ ამ საქმეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოვე-  
კიდოთ სახელმძღვანელოების შედგენისას, რადგან მოზარდი თაობა სა-  
ხელმძღვანელოებით, მეცნიერების საფუძვლებთან ერთად, სწორ მეტყვე-  
ლებასა და წერასაც სწავლობს.

სახელმძღვანელოს ენა უნდა იყოს სანიმუშო, დახვეწილი, ლაკონი-  
ური, დაზღვეული ყოველგვარი შეცდომებისა და გაუგებრობებისაგან, —  
ყოველგვარი უზუსტობებისაგან. სახელმძღვანელოში სწორად უნდა იყოს  
წარმოდგენილი სიტყვათა შინაარსობრივი თუ სტილისტიკური შეხამება,  
თავის აღგილზე — დამხმარე სიტყვები, თანდებულები, მეორეხარისხოვანი  
წევრები, მკაცრად დაცული — თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორ-  
მები. სახელმძღვანელოს ავტორი მოვალეა მკითხველს მიაწოდოს მხოლოდ  
სწორი ენობრივი კონსტრუქციები.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენი სკოლის ბუნების მეტყველების სა-  
ხელმძღვანელოებში?

დღევანდელ საშუალო სკოლაში ბუნების მეტყველების შესწავლას  
აღრეული ასაკიდან, სახელდობრ, მეორე კლასიდან იწყებენ და შემდეგ  
მის სხვადასხვა დარგს სკოლის დამთავრებამდე უფლებიან.

სახელმძღვანელოები კლასებში ასეა განაწილებული: მეორე კლასში  
ისწავლება „ბუნების კარი“, მესამეში — „წყარო“, მეოთხეში — „ბუ-  
ნება“, მეხუთესა და მეექვსეში — „ბოტანიკა“, მეექვსესა და მეშვიდე-  
ში — „ზოოლოგია“, მერვეში — „ადამიანი“, ხოლო მეცხრესა და მეათე-  
ში — „ზოგადი ბიოლოგია“.

ცხადია, აღნიშნული სახელმძღვანელოები არც თავისი მოცულობით,  
არც შედგენილობითა და არც შინაარსით ერთნაირი არ შეიძლება იყოს.  
განსხვავდებიან ისინი იმ მხრივაც, რომ ზოგი მათგანი, მაგალითად, „ბუ-

ნების კარი<sup>1</sup>, „წყარო“<sup>2</sup> და „ზოლოგია<sup>3</sup> ორიგინალური სახელმძღვანელოებია, „ბუნება“<sup>4</sup>, „ბოტანიკა“<sup>5</sup>, „ადამიანი“<sup>6</sup> და „ზოგადი ბიოლოგია“<sup>7</sup> კი — ჩატარებული დროიდან თარგმნილი წიგნები.

ენობრივი თვალსაზრისით საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები საერთოდ არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას; ჩანს, ავტორები თუ მთარგმნელები გულისყურით მოკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას და უმუშავით ფრაზის გასამართავად. შეძლებისდაგვარად მოღბულია მხედველობაში ენობრივი თავისებურებანი და დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. დაბალი კლასების სახელმძღვანელოებში გათვალისწინებულია ბავშვის ასაკიც; წინადაღებები მარტივი და გასაგებია.

შაგრამ, მიუხედავად ამისა, დასახელებული წიგნები მაინც არ არის დაზღვეული ცალკეული შეცდომებისა თუ უზუსტობებისაგან. ამასთან, თითქმის ყველა სახელმძღვანელოში ერთი და იმავე ტიპის ენობრივი დარღვევები თუ შეუსაბამობანი დასტურდება, განსხვავება მხოლოდ რაოდენობაშია.

აქვე შევნიშნავთ, რომ წინა წლების გამოცემებთან შედარებით სახელმძღვანელოთა ბოლო გამოცემები ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესებულია; გასწორებულია ბევრი ორთოგრაფიული შეცდომა, მორთოლოგიურ-სინტაქსური შეუსაბამობა თუ სტილისტიკურად უხერხული გამოთქმა. ეს განსაკუთრებით ითქმის „ბოტანიკის“ და „ზოლოგიის“ შესახებ, რომლებშიც შენიშნული და გასწორებულია წინა გამოცემებში დაშვებულ ენობრივ შეცდომათა უმრავლესობა.

ენობრივი დარღვევები სახელმძღვანელოებში სხვადასხვა ტიპისაა, რომელთაგან ზოგი თუ თვით ქართულის გრამატიკულ-სტილისტიკურ შეუსაბამობას წარმოადგენს, ნაწილი თარგმნის სპეციფიკით არის განპირობებული — სიტყვასიტყვითი თარგმანები ან უვარებისი კალკებია. ამასთან, ალსანიშნავია ისიც, რომ ამ მხრივ არ განსხვავდება ორიგინალური და ნათარგმნი წიგნები. ჩანს, ორიგინალური სახელმძღვანელოების ავტორებიც პარაიშვილთან სხვადასხვა შემთხვევაში რუსული წყაროებით სარგებლობდნენ და ზოგჯერ თავი ვერ დააღწიეს მათ ენობრივ გვლენას.

1 ავტორები არიან: ვ. კაპანაძე და შ. ხუნდაძე.

2 ავტორები არიან: გ. დონდუა და ლ. დონდუა.

3 ავტორები არიან: ლ. კობახიძე და ა. მაჩიბელი.

4 ავტორია მ. სკატენი, მთარგმნელი — ვ. პაიკიძე.

5 ავტორია ვ. ა. კორჩაგინა, მთარგმნელები — გ. ჩიკვაძე, თ. კეზელი, ზ. ლვინიანიძე, რ. გაგიძე, ი. მიქელაძე, ი. ნახუცრიშვილი, კ. ქიმერიძე.

6 ავტორები არიან: ა. მ. ცუზმერი, თ. ლ. ბეტრიშვილი, მთარგმნელები — ლ. თურმანიძე, ა. კაჭარავა.

7 ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს ი. ი. პოლიანსკის რედაქციით, მთარგმნელია გ. მევლაძე.

აქ წარმოვადგენთ ენობრივი დატლვევის იმ ნიმუშებს, რომლებიც ბუნებისძმეულების სახელმძღვანელოების ბოლო — 1980-1981 წწ. გამოცემებში კვლავ დასტურდება და, ამდენად, ეს წიგნები ამ მხრივ გა-სასწორებელი და დასახვეჭია.

წიგნებში შეინიშნება ორთოგრაფიული სახის დარღვევები, კერძოდ, ზოგი კომპოზიტი, რომელიც ნორმის მიხედვით ერთად იწერება, წარმოდგენილია ცალ-ცალკე ან დეფისით, ზოგჯერ კი, პირიქით, ესა თუ ის ფორმა უძართებულოდ ერთად წერია. ამ შერივ განსაკუთრებით „სცოდავს“ მეოთხე კლასის სახელმძღვანელო „ბუნება“. მაგალითები:

ა) უნდა იყოს ერთად, არის დეფისით ან ცალ-ცალკე:

შემდეგ კი არ ე-მარ ეგ ათასფრიალ იჭრელდება („ბუნ. კარი“, გვ. 18).

ও ৩ র্থ-ও ৩ র্থ-৩ নং বাটীত সিয়ার্কেট মাসেশি সুফুরা সুফুরিস মারগলি দা মনুর্হোক („মু-  
নিদা“, পৃ. 77)।

ნერწყვის პირობით რეცლექსური გამოყოფა შეისვე ჟერედა („აღაშ.“, გვ. 229).

დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმი მშობლოდ ერთხელ წარმოიშვა, თუ დედამიწის სტრუქტის განვითარება მანქისზე მასზე არა ერთხელ წარმოშობილან ორგანიზმები?  
„ბიოლ.“, გვ. 240-241).

გენერალურად ერთმანეთთან ა ხ ლო მ დ გ ო მ ს ა ხ ე ნ ბ ე ბ ს ა დ ა გ ვ ა რ ე ბ ს მ ე მ კ ვ ი ღ რ ე -  
ო ბ ი თ ი ც ა ლ ე ბ დ ღ რ ი ბ ი ს მ ს ა ვ ა ს ი რ ი ა ი ღ ბ ი ა ხ ს ი ა თ ე ბ ს (ი ქ ვ , გ ვ . 311).

ბ) უნდა იყოს დეფისით, არის ერთად:

მაღალ მთაში წარმოშობილი მყინვარი ნელნელა მოცოდას ქვემოთ („ბუ-ნება“, გვ. 101).

ეს გამოქვებულები მიწისქვეშა სამყაროს ერთ ერთი საოცრებაა (იქვე, გვ. 80, აგრძოვა, გვ. 118).

წყლის ყოველ წვეთს მოაქვს ნივთიერებათა ან ალ ან ალი ნაწილაკები (ძველი)...

გ) უნდა იყოს ცალ-ცალკე, არის ერთად:

ପୁଷ୍ଟ କ୍ଷରାଙ୍କସ, କୁମେଳିଶ୍ଵିପ ଏ ସାତ ଟ ର କ୍ଷରାଙ୍କେଶ ମେହିଲ ଅଳାର କ୍ଷରାଙ୍କ ନାଗେରା କ୍ଷରାଙ୍କ ଗାନ୍ଧିରାଂପା („ମୁଖ୍ୟମାନ“, ପୃ. 27, ଅର୍ଥାତ୍ ପୃ. 31).

ეს ხმიული უკანონდა უფრო ხშირად ისმის ქარიან ამინდში (იქვე, გვ. 99, აგრძოვ, გვ. 57).

უწყლოდ ვერ იარსებებს მრეწველობის ვერცერთი დარგი (ძ. 139, გვ. 81).

თუ შემოზღვით ასეთი საღენი ჩამოწყდა, არამ ცდაარამ ც არ მიეკაროთ მას (ძველი, გვ. 61).

იგი ვარ მოსახლეობას (იქნა, გვ. 115).

სახეობებს ზოგჯერ შეიძლიათ იარსებონ მრავალი ასეული მიღლონი წლები, ისე რომ თოვქმის არ ცაი შეიცვალონ („ბიოლ.“, ვ. 46)...

სახელმძღვანელოებში ზოგჯერ დარღვეულია ვ ბერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები. სახელდობრ, ვ ზოგჯერ ზედმეტად იქ

<sup>8</sup> შდრ. იმავე წიგნში: „ა ჩ ე მ ა რ ე მწვანით იმოსება“ (გვ. 29).

<sup>9</sup> ეს კომპოზიტი ოღნიშნულ წიგნში მხოლოდ ამ ფორმით გვხვდება (გვ. 24, 97).

არის ნახმარი, სადაც ის არ უნდა ყოფილიყო, ზოგან კი აქლია სიტყვას.  
მაგალითები:

გენეტიკის გაცნობა საშუალებას გვაძლევს გავალჩმავთ და დავაკონტრეტოთ  
საკითხი ბუნებრივი გადარჩევის სხვადასხვა ფორმის შესახებ („ბოლ.“, გვ. 316, ავ-  
რევოვ, გვ. 310).

თუ ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ბოლოები-  
ღური -ა არ მოეკვეცა, ვ ყველა დროსა და კილოში გაჩნდება, გარდა მე-  
ორე კავშირებითისა<sup>10</sup>. აქ კი სწორედ მეორე კავშირებითის ფორმაა და,  
მაშასადამე, უნდა ყოფილიყო გავალრმაოთ.

ასევე, არსად არ უნდა იყოს ვ ნორმის მიხედვით თ-ზე დაბოლოებულ  
ფუძეთაგან ნაწარმოებ ნაზმნარ სახელებში<sup>11</sup>, ბიოლოგიის სახელმძღვანე-  
ლოში კი ასეთებიც შეგვხდა:

თავს მოსდევს შედარებით შევიწროვებული ნაწილი — ყელი (გვ. 256).  
შრომა ხელს უწყობდა საზოგადოების წევრების შემჭიდროვებას (გვ. 126).

სრულიად ზედმეტია ვ ბგერა, აგრეთვე, შემდეგ მაგალითებში:

მცენარე აბერა სოკოებისაგან რომ დატიცვათ, უნდა ვერიდოთ ტოტების მოტეხ-  
ვას („ბოლ.“, გვ. 221).

როცა ძაბრილიან წყლის წვეთვა შეწყდება, შეადარეთ, რომელ ნიაღვაში მეტი  
წყალი გავიდა („ბუნება“, გვ. 106).

უნდა ყოფილიყო მოტეხას და წვეთა, რაღვან ამ ტიპის მასდარების  
ასეთი დაწერილობა ნორმადაა მიღებული<sup>12</sup>.

საწინააღმდეგო შემთხვევები, როლესაც ვ აქლია სიტყვას:

არხები და ლრუები შეერთებულია ერთმანეთთან და ქმნიან დატოტილ ბალეს  
(„ბოლ.“, გვ. 179).

ასეთ ზემოქმედებათა რიცხვს განვითარება სხეულის გაციება... გაციება... გაციება  
ხელს უწყობს გრიპის,... და ანგინის განვითარებას... როგორ უნდა დავიცვათ თავი გა-  
ციებისაგან? ზოგიერთი იდამიანი, რომელსაც გაციების ეშინა, ძალიან თბი-  
ლიდ იციამს („ადამ“, გვ. 172).

ბოლო მაგალითში ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როლესაც ვ  
ბგერა ზმნებს შორის სემანტიკურ სხვაობას ამყარებს და ავაღმყოფობა  
ციების, გაციების გამოხატვისას იგი არ იხმარება, რამის გაციების გად-

<sup>10</sup> „ვ ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაყარვის წესები“: თანამედროვე ქართუ-  
ლი სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 21.

<sup>11</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.

<sup>12</sup> იხილე: „-ვ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა“: თანამედროვე ქართული სალი-  
ტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 205.

მოსაცემად კი საჭიროა<sup>13</sup>. ამიტომ მოყვანილ წინადაღებაში სწორედ პინიანი ფორმები უნდა ყოფილიყო<sup>14</sup>.

სახელმძღვანელოებში ზოგჯერ დარღვეულია სახელთა კუმშვა-კვეცის ნორმები. სახელდობრ, ფუძეკუმშვადი და ფუძეკვეცადი სახელები უმართებულოდ შეუკუმშვად და შეუკვეცლად არის წარმოდგენილი ან, პირიქით, კუმშვა და კვეცა ხდება იქ, სადაც ეს არ იყო მოსალოდნელი. მაგალითები:

### კუმშვა

ტელი დახახესტული, დატკეპნილნიადაგიანი მღელო შეიძლება გაახალგაზრდავდეს და გარდაიმნას ისეთ მდელოდ, რომელზეც კვლავ მარცვლო ვანები ის იქნა გაბატონებული („ბორ“, გვ. 257).

სხვა მკრლევარების მიერ ჩატარებულმა მრავალმა ცდამ შესაძლო გახდა ამ ფუქტის ახსნა („ადამ“, გვ. 133, აგრძელე, გვ. 131).

ყველასაოცის ცნობილია რძემფავური ფულილი რძის აჭრის, მაწერის, არა ან ის, კეფირის დამზადების დროს („ბიოლ“, გვ. 216).

ამიტომ უდაბნოს ბინალარის სათვალის დამახასიათებელია ცხიმის ჭარბი მარაგი (იქვე, გვ. 357).

რით განსხვავდება ცოცხალი სხეულები არაც ცხალის აგან (იქვე, გვ. 237).

ფარულთხოსლო ვანები მოხდა დიდი ორმორფოზი (იქვე, გვ. 160).

შიშვილთხოსლო ვანები გავრცელება ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა (იქვე)...

ყველა დასახელებული სახელი ფუძეკუმშვადია და, მაშასადამე, უნდა გექონდა: მარცვლოვნები, მკვლევრების, არაუნის, ბინადრისათვის, არაცოცხლისაგან, ფარულთხოსლონებში, შიშველთხოსლონების.

ამასთან, ბიოლოგის სახელმძღვანელოში დასტურდება ორიოდე ისე-თი შემთხვევაც, როდესაც ფუძეკუმშველი სახელი შეკუმშულია:

დარეინი მოუთითებდა ხურტკმლის ნაყოფის ზომის მუდმივ ზრდაზე (გვ. 37).

მხოლოდ ასეთი თხელი, ანათლებია<sup>15</sup> შელწევადი ელექტრონებისათვის (გვ. 171)..

<sup>13</sup> „ვ ბერის შემნახვის, ჩართვისა და დაქარგვის წესები“: თანამედროვე ქართული სალიტერატურა ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 20.

<sup>14</sup> შდრ. იმავე წიგნში: „ორგანიზმის გაცივების გავლენა დავალებებისადმი წინააღმდეგობაზე“ (გვ. 172).

<sup>15</sup> შდრ. იმავე წიგნში: „ველებში გმატონებულია მრავალწლოვანი მარცვლების ვანები“ (გვ. 261, აგრძელე, გვ. 258, 262).

<sup>16</sup> შდრ. იმავე წიგნში: „ეს მოხდა სწორედ არაცოცხლიდან ცოცხალში გადასვლის მომენტშიც კი“ (გვ. 313).

<sup>17</sup> შდრ. იმავე წიგნში: „... სპეციალური სალებავებით შეფერილ 5—10 გეგ სისქის ანათლების ვიკელევთ“ (გვ. 169).

ფუძეებისადი სახელი უმართებულოდ შეუკვეცელია:

შალითა ას!<sup>18</sup> შეგნით განლაგებულია თხელგარსიანი უქრედები („ბოტ.“, გვ. 50). შეუძლებელია ერთმანეთში აკვერიოს... კერძოსა და მურყნის (თხმელას ფოთლები) (იქვე, გვ. 62).

მოვიყვანოთ გლუკოზას!<sup>19</sup> ფორმულა („ბიოლ.“, გვ. 157)...

წიგნებში შეგვხდა უკვეცელი ფუძეების უმართებულოდ შეკვეცილი ფორმებიც:

ყველაზე გრძელი ბოჭკოები ლოკოკინის<sup>20</sup> მწვერვალთან არის („ადამ.“, გვ. 213, აგრეთვე, „ბიოლ.“, გვ. 63).

გიბონი ადამიანს გვაგონებს თავის ქალის<sup>21</sup> აგებულებით („ბიოლ.“, გვ. 122).

ერთი ამინმეაგას (ასეა!) მინჯგუფიდან და მეზობელი ამინმეავის კარბოქსილიდან გამოიყოფა წყლის მოლეკულა (იქვე, გვ. 150)...

სახელთა ბრუნების მხრივ სახელმძღვანელოებში გვხვდება სხვა სახის დარღვევებიც, სახელდობრ:

ა) ზოგჯერ სწორად არ არის ნაბრუნები შესიტყვებაში მსაზღვრელად გამოყენებული იგივე და ერთი და იგივე ფორმები. მაგალითად:

ნალრძობის დროს იგივე დახმარების გაწევა შეიძლება, რაც დაჭიმუის დროს („ადამ.“, გვ. 41).

დღე და რჩე... უზრუნველყოფს იმავე (ასეა!) სტრუქტურისა და იგივე შედეგის მისამართის ცილების სინუზს, არგორიც ქეც დედისეულ უქრედებს („ბიოლ.“, გვ. 161) ...

ა) შეიძლება ტვირთის მუდამ ერთი და იგივე ხელით ტარება („წყარო“, გვ. 72).

ერთი და იგივე გენის ცვლილება გავლენას ახდენს რამდენიმე ნიშან-თვისების განვითარებაზე („ბიოლ.“, გვ. 33).

ყველა ისინი... ერთი და იგივე მიმართულებისანი არიან (იქვე, გვ. 367—368)...

მოვიყნილ წინადადებებში მსაზღვრელი არ შეესაბამება საზღვრულ ბრუნვის ფორმის მიხედვით; პირველ ორ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო იმავე, ბოლო მაგალითებში კი — ერთი (ერთისა) და იმავე ფორმები.

ბიოლოგის სახელმძღვანელოში შეგვხვდა ორიოდე ისეთი შემთხვე-

<sup>18</sup> შდრ. იქვე: „ფესვის შალითის უქრედები დიდია“ (გვ. 50).

<sup>19</sup> შდრ. იქვე: „საქართვის წარმოქმნილი გლუკოზისა და ფრუქტოზის მოლეკულებისაგან“ (გვ. 158).

<sup>20</sup> შდრ.: „ლოკოკინას არის გასწვრივ მოელ ჰიგრძეზე გადის ძირითადი მემბრანა“ (გვ. 213).

<sup>21</sup> შდრ.: შიმპანზე გორილაზე მეტად ახლოსაა ადამიანთან თავის ქალას აგვიულებისა და კიდურების ზომების მიხედვით“ (იქვე).

ვაც, როდესაც მსგავს შესიტყვებაში მსაზღვრელიდან ერთი და იგივე უმართებულო ფორმითაა წარმოდგენილი სახელი ერთი. მაგალითად:

ერთსა და იმავე გვნორთის შემთხვევაში,... ორგანიზმის ნიშან-თვისებები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს (გვ. 300).

ერთნარჩია თუ განსხვავდებულია ერთსა და იმავე თრგანიზმის... უკრედების ქრომოსომთა ღნმ-ში ჩაწერილი... ინფორმაცია? (გვ. 315).

სწორი ფორმა იქნებოდა: ერთისა (ერთი) და იმავე<sup>22</sup>.

ბ) საანალიზო შიგნებში (განსაკუთრებით, ბიოლოგიაში) ყოველთვის ვერ არის დაცული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ნორმაც; სახელ-დობრ, ნათესაობითსა და მოქმედებით — როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიან ბრუნებში მსაზღვრელს, ნაცვლად იმისა, რომ, წესისამებრ, ნაწილობრივ მოეკვეცოს ბრუნების ნიშანი, მთლიანად ეკვეცება და ფუძის სახითაა წარმოდგენილი. მაგალითები:

პარაზიტულ ცხოვრების გამო მას ფრთხი აქვს („ზოოლ.“, გვ. 76).

უკიდურეს ჩრდილო თრთის პირობებში წარმოიშვა ყაყაჩოს განსაკუთრებული სახეობა („ბიოლ.“, გვ. 60).

მტვრის მარცვალი... იწყებს გაღივებას... ნასკეის შიგნით მოთავსებულ თესლების ტიპის მიმართულებით (იქვე, გვ. 265).

ენდოსპერმი აქვს როგორც ერთლებნიან, ისე ორლებნიან მცენარის თესლს (იქვე, გვ. 263).

მათ შთამო მავლობის მომლენო თაობებში მხოლოდ დომინანტური ნიშან-თვისება შეინიშვნება (იქვე, გვ. 275).

დარენის შეიღები შეიღების (იქვე, გვ. 315).

არის უჭრედები, რომელთა გარე გარსი ერთიმეორებზე მიგრილ რამდენიმე მეზანის საგანგებო შეღება (იქვე, გვ. 177).

უჭრედის შემცველ ნივთიერებებიდან პიღროფობული თვისებები ახასიათებს ცხიმებსა და ლიპოიდებს (იქვე, გვ. 146)...

უნდა ყოფილიყო: პარაზიტული ცხოვრების, უკიდურესი ჩრდილოეთის, მოთავსებული თესლებითის და ა. შ.

იშვიათად წიგნებში დასტურდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც, სახელ-დობრ, როდესაც მსაზღვრელი სწორედ ფუძის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და არ კი არის, როგორიცა:

შეაღვინოთ სხვადასხვანირი ღვრობის მცენარეთა პერსარიტი („ბოტ.“, გვ. 97).

ი. ე. მიწურინის მიერ შემცუმავებული „აღზრდის“ მეთოდი შორის აღსანიშნავია მეტოდის მეთოდი („ბიოლ.“, გვ. 330).

22 იხილე იქვე: „სახეობის უკელაზე არსებითი თვისებაა სხვებისაგან განცალკევებულიბა, თვით ერთისა და იმავე გვარის ანლობელი სახელმებისგანაც კი“ (გვ. 26).

სახელმძღვანელოებში შეგვხვდა სახელთა რამდენიმე უხეიროდ ნაწარმოები ფორმაც. მაგალითად:

მცენარეული თანამზოგადოების ცვალებადობა... ხშირად გამოწვეულია კლიმატის შეცვლისთვის. ნაევეთის განათებულობა ით და სხვა მიზეზებით („ბოტ.“, გვ. 256).

ქართ და ასამ ტერიტორიაზე მცენარეები უამრავ მტერეს იცითარებენ (იქვე, გვ. 120).

ქართ და მტერიტორიაზე მცენარეებს არ აქვთ გვირგვინის ფურცლები (იქვე, გვ. 121).

სუნოვანი, გაზისებრი ნივთიერებების მოქმედება ალიზანებს ყნოსვის უჯრედებს („ადამ.“, გვ. 219).

ამგვარად, უპირობო რეფლექსი არის თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი (იქვე, გვ. 226—227).

უფრო მართებული იქნებოდა, ეხმარათ ფორმები: განათებით, დასამტკერი, სუნანი, მემკვიდრეობითი.

წიგნებში დასტურდება ამა თუ იმ სახელის არასწორი ფორმებიც. სახელდობრ:

ყოველ ქრომოსონს მიემაგრება თითოსტარას ერთ-ერთი ძალი („ბიოლ.“, გვ. 199).

(მას) აქვს ქრომოსონთა მცირე ჩიცვი (იქვე, გვ. 289).

სამხრეთ ამერიკაში ბინატრობენ ჭავშნოსნები, ზარმაცები და ჰიანკველი ძალი ა-მ ები (იქვე, გვ. 81).

რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის... მენჯის ძვლების სიმსხოს? („ადამ.“, გვ. 35).

თვით ული ასეთი ურაზა ერთი რომელიმე ცილის შესაბამისი იქნება („ბიოლ.“, გვ. 150).

პირველ სამ წინადადებაში მოყვანილი სახელები ფუძებმოვნიანია და, ამდენად, მათი სწორი ფორმები იქნებოდა: ქრომოსონა (ქრომოსომათა) და კიანკველაჭამიები. დადასტურებული ფორმა სიმსხო მოძველებულია, იშვიათია, კუთხურია და ქრება სალიტერატურო ენიდან, ამიტომ ჭობდა ეხმარათ სისხო. ბოლო წინადადებაში კი სწორი ფორმა იქნებოდა თითო-ეული (სხვა შემთხვევებში წიგნში სწორედ ასეა: გვ. 174...).

ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოებში არცთუ იშვიათად ენობრივი დარღვევები შეინიშნება ზმნების ხმარების დროსაც. სახელდობრ:

ა) ზოგჯერ არ იცავენ პირის ნიშანთა ხმარების ნორმებს; იგი ხან აკლია, ხან კი უმართებულოდ ზედმეტად ახლავს ზმნას. მაგალითები:

#### ზმნას აკლია პირის ნიშანი

გაშეშების განვითარება შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ ავალმყოფს, დროულად გამოიყენოთ გაშეშების საწინააღმდეგო შრატს („ადამ.“, გვ. 72—73).

ალბათ, გინაზავო ტუშეში ლამაზი ბალანვანი მცენარე შვიტა,... ეგებ ლიკოპოდიუმ-საც წიაშედომისაზოთ („ბუნება“, გვ. 94).

კვალდებულ მიყევით რუკაზე გვე „ბიგლით“ დედამიწის გარშემო დარვინის მოგზაურობის მარშრუტს („ბიოლ.“, გვ. 19)

მაშინ მტკერი ჩვარს ა ყ ვ ე ბ ა („ადამ.“, გვ. 118).

(წყალი) ორთქლის სახით ა მ ო ყ ვ ე ბ ა მოსუნოქეულ პაერს (იქვე, გვ. 143).

პირველ წინადადებაში ზმნა პირველ პირშია და, მაშასადამე, მას აკლია პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ. უნდა ყოფილიყო: გავუ-კეთებთ. დანარჩენ შემთხვევებში კი ზმნებში არ არის წარმოდგენილი მე-სამე ირიბობიერებური პირის ნიშანი ჲ ან ს. სწორი ფორმები იქნებოდა: წასწყდომიხარ, მიშყევით, აპყვება, ამოშყვება.

ზმნას ახლავს ჰელმეტი პირის ნიშანი.

ასეთი შემთხვევების ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1. როდესაც ზმნა ერთ-პირიანია, ნიშანი კი უმართებულოდ ორი აქვს და 2. როდესაც ზმნა ორ-პირიანია, მაგრამ გარდამავალი და, მაშასადამე, მასში გამოხატულია პირ-დაპირი ობიექტის ნიშანი, რომელიც წესით ზმნაში არ გამოიხატება. მა-გალითები:

## I შემთხვევა

იგი აღრე გაზაფხულზე ჰყვავის („ბუნება“, გვ. 122, აგრეთვე, გვ. 130, 140).

იგი ძალიან ნერაფად მიკერა ის კოსმოსში (იქვე, გვ. 30)

მისი გრძელი ლერწები ლამაზად ჰქილი ადია<sup>23</sup> (იქვე, გვ. 123).

თავის დაბანაც წყვის წყლით სჭობს<sup>24</sup> (იქვე, გვ. 79).

აქედან წარმოდგება სახელწოდება („ზოოლ.“, გვ. 76, აგრეთვე, „ბოოლ.“, გვ. 157)...

მართებული ფორმები იქნება: ყვავის, მიქრის, კიდია, ჭობს, წარ-მოდგება.

## II შემთხვევა

(იგი) ს ძ ო ვ ს მთის მღინარეთა მახლობლად („ბუნება“, გვ. 127).

მღინარეთა ნაპირებთან... თავი ა მ ო ჰ ყ ო ყვითელმა ყვავილმა (იქვე, გვ. 113).

პარკოსანი მცვნარები ითვისებენ ლორწოს, რომელსაც კოურის ბაქტერიები გა-ტ ი ჰ ყ ო ფ ე ნ<sup>25</sup> („ბოტ.“, გვ. 203).

თავის გრძელსა და წერტილ ენას ის ადვილად ჰყოფს ხის ქერქისა და მერქნის მაპრალებში („ზოოლ.“, გვ. 192, აგრეთვე, „ბოტ.“, გვ. 164).

<sup>23, 24</sup> ეს ზმნები ზოგჯერ ორპირიანებიც არიან (ჰყიდია, სჭობს ის მას) და ასეთ შემთხვევაში ისინი მართლაც საკიროებრნ მეორე—ირიბობიერებური პირის ნიშანს, მაგრამ შეოყვანილ წინადაღებებში ეს შემთხვევა არა გვაქვს; აქ ისინი მხლობდ ერთ პირს გვი-ჩვენებენ (კიდია, ჭობს ის) და ამიტომ აქ წარმოდგენილი დაწერილობა არ არის მართებული.

<sup>25</sup> შლრ.: „სწორედ აქედან წარმოდგება ჭვრიანი ობობას სახელწოდება“ („ზოოლ“, გვ. 93, აგრეთვე, გვ. 71).

<sup>26</sup> შლრ. იქვე: „რომელ გაზის გამოყოფს თესლი სუნთქვის დროს“ (გვ. 37, აგ-რეთვე, გვ. 38).

კრაზანა... დინგზე სტოვებს სხვა ყვავილებიდან მოტანილ მტკერს („შოთ.“, გვ. 119, აგრეთვე, გვ. 118).

ზოგი კი არ სცობდა ბუნებრივი გადარჩევის შემოქმედებით როლს („ბიოლ.“, გვ. 23—24).

მცირდოდ დასახლებულ უბანს სცოლი<sup>27</sup> მეჩერად დასახლებული უბანი (აქ- გვ. 27, აგრეთვე, გვ. 85, 91).

ისინი გროვდება ქალაქებში, გადაღიან სხვა აღგალებში და სწამლავებს<sup>28</sup> აღა- მიანებს (იქვე, გვ. 404).

ყოვლივე ეს გამოხატულებას პჰოვებს<sup>29</sup> მარადიული მზრალობისა და მოკლე ზაფხულის პირობებთან შეგუებაში (იქვე, გვ. 50)...

უნდა ყოფილიყო: ძოვს, ამოყო, გამოყოფენ, ყოფს, ტოვებს, ცნობდა, ცვლის, წამლავენ, პოვებს.

ბ) ბიოლოგიის სახელმძღვანელოში იშვიათად გვხვდება ისეთი შემ- თხვევებიც, როდესაც ზმნისწინისეული თანხმოვანი არასწორად ზმნის ფუქეშია გადასული და ვიღებთ უმართებულო ფორმებს. ასეთებია:

მას მაჩჩდა, რომ ზესტი ცოლნა ბუნების შესხებ გაანთავის უფლებს აღა- მიანს ცრურწმენებისაგან (გვ. 15).

(ცენტრიფუგები) ბრუნვის უდიდეს სიჩქარეს ან ვითარებენ (გვ. 170).

პირველ წინადაღებაში სწორი ფორმა იქნებოდა გაათავისუფლებს (ან განათავისუფლებს), მეორეში კი — ავითარებენ.

გ) წიგნში „ბუნება“ ზოგჯერ დასტურდება -ებ სუფიქსიანი გარდამა- ვალი ზმნების თურმეობითი მეორის უმართებულო ფორმებიც. მაგალი- ლითები:

აღამიანმა... გადაწყვიტა, ჰერის ეს ოვისება გაფრენისათვის გამოეყენებია (გვ. 43).

უნდა შეე მოწმებიათ, შეტლებლენ თუ არა ისინი სუნთქვას ლიდ სიმაღლეზე (გვ. 53).

ექიმი ცდილობდა მოესულიერებია მეცნიერი (გვ. 62).

(მშენებლებს) იგი როგორმე უნდა მოეშორებიათ თავიდან (გვ. 97).

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ნ-არიანი ფორმებია სწორ ფორ- მებად მიჩნეული და, მაშიასადამე, უნდა ყოფილიყო: გამოყენებინა, ზე კ- მოწმებინათ, მოესულიერებინა, მოეშორებინათ<sup>30</sup>.

<sup>27</sup> შდრ. იქვე: „ვეოლუციის პროცესს, რომელიც სახეობის შიგნით მიმდინარეობს და ცვლის მას, მიკროვოლუცია ეწოდება“ (გვ. 57, აგრეთვე, გვ. 104, 125).

<sup>28</sup> შდრ. იმავე გვერდზე: „გატუშეუნიანებული წყალი წამლავს ცხოველთა საგა- ყირის.“

<sup>29</sup> შდრ. იქვე: „შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდმა ფართო გამოყენება პოვა მე- ხრომებაშიც (გვ. 328, აგრეთვე, გვ. 329, 364, 407).

<sup>30</sup> იხილე: „ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათი წარმოება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეზი“; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორ- მები, I, თბ., 1970, გვ. 218—219.

ღ) სახელმძღვანელოებში არის ზმნათა სხვა რიგის არასწორი ფორმებიც, მაგალითად:

ამ ცხოველების ნაშთები იპოვნენ სა... სამხრეთ აზიაში („ბიოლ.“, გვ. 131). იქ იშოვნენ ადრენალ წყალს („ბურება“, გვ. 78).

და ალექსანდრი მზეგარი („ოქტო, 83, 44).

ဆောက် ပုဂ္ဂိုလ်ပြော စူးသော အမျိန် မီ ၁၃၄၅၂၀၈ တ လမ်းရေးကဲ အလောင် အမြေတွေ („ပို့ဆောင်“၊ ဘူ. 12၊ အကျဉ်းသတ္တာ၊ ဘူ. 13)。

მართებული ფორმებია: იპოვეს, იშოვიან, დადევით, მივყავართ.

ე) წიგნებში ყურადღებას იქცევს ზმანთა უჩვეულო წარმოების კი-  
ლავ რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად:

მშევალ დღისინებს თვალები ხშირად უცრებს მლებათ („ადამ.“, 83. 210). მათზე კათება არის მომარტინი შემთხვევაში მხვდლი (გვ. 22. 213—214).

డొంగు అంతర్వేద మాటలకు వ్యాపించిన విషయాల ప్రశ్నలు (ప్రశ్న, 83, 213—214).

(-କେବଳ ୩୩, ୨୨, ୨୩୩)

ნიადაგის კარგად განვიყირების, მორწყვის, განთვების პირობებში მცენარეები უხ-  
ოვ ძლიერდებან თა მსხმიარობან (ჩვენ ა. 31).

ନେତ୍ରକୁଣ୍ଡଳ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ ଏହାରେ ପାଇଁ (୧୯୯, ୧୩)  
ନେତ୍ରକୁଣ୍ଡଳ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ ଏହାରେ ପାଇଁ (୧୯୩, ୨୨୦).

ვ) ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოებში ხშირად, ნაცვლად სალიტერატურო ქართულში გავრცელებული მართებული ფორმებისა: იღებს, იმატებს, იკლებს, უპასუხებს, გვხვდება მათი პარალელური უმართებულო ფორმები: ლებულობს<sup>32</sup>, მატულობს, კლებულობს და პასუხობს. მაგალითები:

გაიგეთ, საიდნო ლებულობას სასმელ წყალს თქვენი სოფელი თუ ქალაქი ცალკაროვანი, გვ. 14, იგრძელეთ, გვ. 75).

სოდან ღებულობები მას წყლის მცენარეები? („ბოტ.“, გვ. 76, აგრეთვი, გვ. 86, 229...).

შსნელლეხა და წერილებება პირუტყვისაგან აღმაინი ღებულობებს, ხორცებ, ტყავებს... („შოთა“: გვ. 4, გარეთა; გვ. 16, 91, 95...).

ବେଳେ କାହିଁପରିବାଦିତ ହେଲା (ସମ୍ବନ୍ଧିତ ପାଠୀରେ, ୩୩, ୧୯୫୨)।

<sup>31</sup> შდრ. იქვე: „ძელების გახლობლად ი 3 ო ვ ე ს ჭამანებილებული ფორმის გაპობლით კრიტიკა“ (ავ. 131, აგრძელება, ავ. 133).

<sup>32</sup> 3. କାଳାଙ୍କ ରାଜୀ, “ଗନ୍ଧିଶ୍ଵରମ୍ବେ, ଲୋହିଶ୍ଵରମ୍ବେ ରୂପିତ ଶିଖେଦି ତାନାମ୍ଭରଣ୍ୟେ ଫଳ-ତ୍ୟାଗଶୀଳ”: ଶ୍ରୀରାଜଶ୍ରୀ ସିନ୍ଧୁପାତାଳ ଏଣ୍ଟର୍ପ୍ରାଇଟ୍ରିକ୍ ସାଇଟ୍କେବି, I, ଅନ୍ତଃବିଭାଗ, 1, ମେ, 1972, ୩୩, ୧୫୪-୧୭୭.

<sup>33</sup> დღე. იქვე: „სპეც დაზიანებათა აღდგენაში მონაწილეობას იღებს ყველა ორ- ჯანიდე“ (კა. 204, აპრილი, გვ. 365, 366).

რამდენჯერ მატულობს უჯრედის სიღილე („ბიოლ.“, გვ. 258, აგრეთვე, გვ. 38, 91, 101...).

ნაშეულობრივ სიცხვე თანდათან კლებულობს („ბუნ. კარი“, გვ. 25).

მთაში სიმაღლის მატებასთან ერთად ტემპერატურა კლებულობს („ბობ.“, გვ. 264, აგრეთვე, გვ. 251).

ძარღვებში სისხლის წნევა კლებულობს („ადამ.“, გვ. 92, აგრეთვე, გვ. 65, 94, 229...).

ჩვეულებრივ ქსოვილებში წყლის რაოდენობა კლებულობს („ბიოლ.“, გვ. 359, აგრეთვე, გვ. 97, 143, 158...).

განათების შეცვლის პლანარია ნერვული სისტემის საშუალებით სათანადოდ პასუხობს<sup>34</sup> („ბიოლ.“, გვ. 34).

კაცობრიობა სულ სხვადასხვაგვარად პასუხობდა საკითხს დღამიანის წარმოშობის შესახებ („ბიოლ.“, გვ. 117, აგრეთვე, გვ. 21, 333...).

ბოლო მაგალითებში დადასტურებული ზმნა პასუხობს სხვა შემთხვევებში ეგებ მართებულიც ცყოს, მაგრამ აქ, ალბათ, აჯობებდა უპასუხებს ფორმა.

სინტაქსური საკითხებიდან ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოების ენაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს რიცხვში შეთანხმება. აქაც რამდენიმე შემთხვევა გამოიყოფა.

ა) სახელი, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს სიტყვა სხვადასხვა, წიგნებში უმეტეს შემთხვევაში მართებულად მხოლოდით რიცხვშია, ისევით, როგორც განსაზღვრებად სიმრავლის გამომხატველი სხვა სიტყვების (ყველა, მრავალი, ბევრი...) ან რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამოყენების დროს, მაგრამ აქა-იქ მაინც არის ამ წესის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად:

ზის ძირას, ნიადაგსა და ბალაზში, სხვადასხვა ცხოველები ცხოვრობენ („ბუნება“, გვ. 111).

ზოგჯერ ბუნებრივ წყალში სხვადასხვა ნივთიერებებია გახსნილი (იქვე, გვ. 79).

საბჭოთა ხელისუფლების დროს სხვადასხვა ქალაქებში აშენდა საავიაციო ქარხნები (იქვე, გვ. 52).

ოთახის მცენარეები სხვადასხვა ქვეყნებიდან მობრძანებულიან ჩვენში (იქვე, გვ. 120).

ერთდროულად არსებობდნენ სხვადასხვა აღამიანის მსგავსი მათმცნები („ბიოლ.“, გვ. 132).

ეს უჯრედები შთანთქავენ... აგრეთვე სხვადასხვა მყარ ნაწილაკებს (იქვე, გვ. 175—176).

შემდეგ სხვადასხვა თვითდამტვრებავი ხაზების<sup>35</sup> ჯვარედნ დამტვერვას ახდენენ (იქვე, გვ. 325)...

<sup>34</sup> შეღ. იქვე: „ასევე უპასუხებს ბაყაყი, თუ კიდურის თითებს ჩავუშეებთ მუავს სუსტ სსნაზში („ადამ.“, გვ. 29).

<sup>35</sup> შეღ. მათვე სახელმძღვანელოში: სხვადასხვა ჯვუფს (გვ. 85), სხვადასხვა ნივთიერების (გვ. 175), სხვადასხვა მწერის (გვ. 71), სხვადასხვა შეგუებულობის (გვ. 103), სხვა-

ბ) სახელმძღვანელოებში ზოგჯერ მოუგვარებელია ზმნისა და სახელის რიცხვში შეთანხმების საკითხიც. მაგალითები:

ფერშეცვლილი ფოთოლი დაბლა, ცვივა („ბუნ. კარი“, გვ. 18).

ფოთოლცვენის ღროს მარტივი ფოთლის ფირ ფიტი ყუნწიანად ცვივა („ბოტ.“, გვ. 66).

ისინი ძალიან ნაზია და ადვილად ზიანდება („ბოტ.“, გვ. 51).

ისინი ხან შეგბოლა, ხან კი ხელახლა ივსებოლა წყლით (იქვე, გვ. 243).

ისინი კარგად შეიმჩნევა ბარდის აღმონაცენის ფესვებზე (იქვე, გვ. 50).

გაშინისინი გმოთვლინდება იმ თაობაში, რომელიც ვითარდება მას სასესო უჭრედებიდან („ბიოლ.“, გვ. 309).

ისინი გრვდება ქალაქებში, გადადიან (ასეა!) სხვა აღგილებში და სწამლავნ ადმინისტრაციაში (იქვე, გვ. 404)...

ზაოშობობში აქვს შემსხეოლებული თავები („ადამ.“, გვ. 38).

მათ ღილი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი ევოლუციისათვის („ბიოლ.“, გვ. 64).

ეს ქვიშის მარცვლები და კენჭებია, რომელიც სიღილით ფერვის მარცვლების სოლენა თუ იქნება („ბუნება“, გვ. 23).

გაშინ იძალებიან... ტყაპები, რომლებიც უკველთვის ერთნაირი სქესისა და საოცრად გვანან ერთმანეთს („ბიოლ.“, გვ. 343)...

პირველ ორ მაგალითში ცვივა ზმნა მხოლოდითის ფორმისთვის შეუცერებელია. უნდა ყოფილიყო ვარდება, რადგან ეს უკანასკნელი ფუძე-მონაცვლე ზმნაა და ცვივა მხოლოდ მრავლობითი რიცხვისთვისაა გამოყენებული. დანარჩენ შემთხვევებში კი ყველგან ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარესთან (თუნდაც ის უსულო საგნის გამომხატველი იყოს) ზმნა-შემასმენლები სასურველი იყო მრავლობითის ფორმით ყოფილიყო წარმოდგენილი, რადგან ისინი -ნ/თ-იან მრავლობითში არიან.

წიგნებში შეინიშნება ზმნისა და სახელის რიცხვში შეთანხმების ნორმის დარღვევის სხვა შემთხვევებიც. სახელდობრ, წესით, როდესაც სახელს მსახლეობრივ სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა ან რაოდენობითი რიცხვითი სახელი ახლავს, შემასმენლი მხოლოდით რიცხვში დგას, სახელმძღვანელოებში კი ეს წესი ყოველთვის არ არის დაცული. მაგალითები:

ზოგიერთ მცვნარეს, მაგალითად სოკობს და ბაქტერიებს, ქლოროფილი არ გააჩნიათ და მცვენე ცენარებში წარმოქმნილი შზა ორგანული ნივთიერებებით იკვებება (ასეა) („ბოტ.“, გვ. 242).

მხოლოდ ზოგიერთ სანიგალოებრივ მწერს, განსაკუთრებით ფუტკებს, გამოუშავდება კოლექტიური თერმორეგულაციის გზით ტემპერატურის შენარჩუნების მეტად ეფექტიანი ხერხი („ბიოლ.“, გვ. 355).

დროდადრო ზოგიერთი მწერი, მაგალითად, არაფარდი პარქვევია, პეპელა-ოქროფულა, ფოთლისევევია ისეთი რაოდენობით ჩნდებიან, რომ მთლიანად ანადგურებები ხერხის ფოთლებს (იქვე, გვ. 379).

დასხვა წყვილთან (გვ. 282), სხვადასხვა ფორმის (გვ. 317), სხვადასხვა სახეობის (გვ. 393), სხვადასხვა ზონაში (გვ. 310), სხვადასხვა გზით (გვ. 348)...

მთელი ათასი ფურცარი, რომელიც ოჯახს შეადგენი, იმდენ სიობოს გამოყოფენ, რომ სკაში შეიძლება შენარჩუნებული იქნეს მულმივი ტემპერატურა (ექვე, გვ. 355).

დასახელებულ მაგალითებში, ჩანს, შეცდომის წყაროა წინადადებებში, ძირითადის გარდა, სხვა სახელების, ხოლო ბოლოს — დამოკიდებული წინადადების არსებობა.

ჩვეულებრივ, უსულოთა სახელები ზრნას რიცხვში ვერ ითანხმებდა, მაგრამ ამ ბოლო დროს შეინიშნება სრული შეთანხმების ტენდენცია. ეს ტენდენცია ასახულია საანალიზო სახელმძღვანელოებშიც და ეგებ საგანგებოდ მასზე აღარც შევჩერებულიყოთ, რომ არა ის სიჭრელე, რაც ამ წიგნებში იქცევს ყურადღებას; სახელდობრ, ერთსა და იმავე სახელმძღვანელოში, ზოგჯერ ერთომეორის ვერდით დასტურდება სრულიად მსგავს შესიტყვებათა როგორც შეუთანხმებელი, ისე შეთანხმებული ვარიანტებიც. მაგალითად:

ნივთიერება, რომელსაც სისხლში თირკმელზედა ჭირკვლები გამოყოფს, იწვევს გულის შეკუშვათა გაძლიერებას („ადამი“, გვ. 10).

### მაგრამ იქვეა:

ქონის ჭირკვლები გამოყოფენ ცხის — კანის ქონს (გვ. 166).

რა ფუნქციებს ასრულებს მუცლის კუნთები? („ადამი“, გვ. 48).

### და

რა ფუნქციებს ასრულებენ ორგანიზმში კუნთები (ექვე, გვ. 23).

ავალმცოფობის გამომწვევები ასეთ ორგანიზმში იღუპება („ადამი“, გვ. 71).

### და

მისი გამომწვევები დილხანს ინახებიან ნიაღაგში (ექვე, გვ. 73).

ზემო A წერტილიდან გამოსული სხივები თავს იყრის ამ ხაზის ქვემოთ A<sub>1</sub> წერტილში („ადამი“, გვ. 204).

### და

B საგნის ქვედა წერტილიდან წამოსული სხივები ბროლში გარდატეხის შემდეგ იყრიბებიან ბალტის ზედაპირზე (ექვე, გვ. 203).

მცენარეები არ გადაშენებულა („ბიოლ.“, გვ. 107).

### და

შიშველოესლოვანი მცენარეები სწრაფად გადაშენდნენ (ექვე, გვ. 106).

კრომანიონელთა ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებდა სოციალური ფაქტორები („ბიოლ.“, გვ. 137).

### და

მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციალური ფაქტორებიც (ექვე, გვ. 136).

სასარგებლო ცვლილებები ინდივიდებს ანიჭებს თუნდაც მინიმალურ უპირატესობას გადარჩენაში („ბოლ“, გვ. 44).

და

საჭიანო ცვლილებები აქვეითებენ ინდივიდის ნაყოფიერებას, ამცირებები მთავრობენ მათი გადარჩენის შესაძლებლობასა და რიცხვს (იქვე)...

ასეთივე სიჭრელეები სახელმძღვანელოებში მიცემითში დასმულ სახელთან ზმინის შეთანხმებისას; აქაც საგრძნობია ბოლოდროინდელი ტენდენცია რიცხვში სრული შეთანხმებისა და, ამასთან, შეუთანხმებელი ვარიანტებიც გვხვდება. მაგალითად:

რომელ ბაქტერიებს ეწოდება საპროფიტული და რომელს პარაზიტული? („ბოტ“, გვ. 202).

და

რომელ ბაქტერიებს ეწოდებათ ნიაღავის ბაქტერიები? (იქვე, გვ. 204).

აღმონაცენებს მესამე ფოთოლი უკითარდება („ბოტ“, გვ. 188).

და

როგორი სახის ღეროები უკითარდებათ მცენარეებს? (იქვე, გვ. 97).

გვერდიურად ერთმანეთთან ახლო მდგომ სახეობებსა და გვარებს შემცველებითი ცვალებადობის მსგავსი რიგები ახასიათებს („ბოლ“, გვ. 311).

და

ხეებს შედარებით უფრო ღრმად განლაგებული ფესვთა სისტემა ახასიათებთ (იქვე, გვ. 375)...

სასურველი იყო, სახელმძღვანელოებში არ ყოფილოყო ასეთი სიჭრელე და მის ავტორებსა თუ მთარგმნელებს შეძლებისდაგვარად ერთგვარობა დაეცვათ.

სახელმძღვანელოებში ყველაფერი რიგზე ვერ არის ყოველთვის წინადადების ავტორისა და გამართვის თვალსაზრისითაც. სახელდობრ:

1) ზოგჯერ დარღვეულია წინადადებებში სიტყვათა რიგი. მაგალითად:

იგი ანარეკლი მზის სხივებით ანათებს („ბუნება“, გვ. 24).

მინდერები რომ ძლიერი ქარისაგან დაიცვან, მათ ირგვლივ ქარსაცაც ტყის ზოგებს აშენებენ ხოლმე (იქვე, გვ. 109).

სინარაში ცორალენ ნატურალურ კუჭის წვენს ჩაასიანენ და თოხლოდ მოხარული ქათმის კავრცის ცილის თხელ ნაკრებს ჩაყრიან („ადამ“, გვ. 132).

ჩამოვალეთ, რომელი სხეულები კარგად ატარებს ელექტრობას და რომელი ცეცხლი („ბუნება“, გვ. 66).

როცა ძაბრიდან წყლის წვეოვა შეწყდება, შეადარეთ, რომელ ნიაღაგში მეტი წყალი გავიდა (იქვე, გვ. 106).

მათაც ახასიათებს განვითარება არასრული გარდაქცვით („ბოლ“, გვ. 76).

ამგვარად, გალიზიანებათა გარჩევა ხელს უწყობს ცხოველების იმ გარემოში სიცოცხლის შენარჩუნებას, რომელშიც ისინი ბინადრობენ („ადამ“, გვ. 231).

განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზეა ცხოველი, მისი ზურგის ტვი-  
ნის რეაციურებში მით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრუ-  
ლებს თავის ტვინი (იქვე, გვ. 185).

მის ფილტებს არ ძალუდ ინტენსიურად მომუშავე ჩინჩხის კუნთებს საჭი-  
რო რაოდენობით უანგბადი მიაწოდონ (იქვე, გვ. 112)...

პირველ სამ წინადაღებაში სიტყვათა რიგი დარღვეულია რამდენიმე  
არაერთგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში, კერძოდ, დარღვეულია მსა-  
ზღვრელთა რიგი. უნდა ყოფილიყო: მზის ანარეკლი სხივებით, ტყის ქარ-  
საცავ ზოლებს და ქათმის თოხლოდ მოხარული კვერცხის<sup>36</sup>. დანარჩენ  
მაგალითებში კი წინადაღებების წევრთა გადაადგილებაა საჭირო და  
გვექნება: რომელი სხეულები ატარებს კარგ ელექტრობას; რომელ ნია-  
დაგში გავიდა შეტი წყალი; არასრული გარდაქცევით განვითარება ახა-  
სიათებთ; ხელს უწყობს ცხოველების სიცოცხლის შენარჩუნებას იმ გა-  
რემოში; მით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავის ტვინი მისი  
ზურგის ტვინის რეაციურებში და არ ძალუდო... უანგბადი საჭირო რაო-  
დენობით მიაწოდონ ან — არ ძალუდო საჭირო რაოდენობის უანგბადი  
შიაწოდონ).

2) სახელმძღვანელოებში ხანდახან მოგვარებას საჭიროებს წინადაღე-  
ბებში ზმნების ღრო-კილოთა შეხამება. მაგალითად:

ნახშირორჟანგი ქილის ფსევრზე ეშვება და თანდათან აავსებს მას („ბუ-  
ნება“, გვ. 40).

სანთელს დავახუროთ უფსევრო ბოთლი, რომელიც მაგრად თავდაცული  
უნდა იყოს (იქვე).

რიხმანის ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, რომ პორიზონტზე შექა-ქუხილის  
შავი ღრუბელი მოიგრავნება (იქვე, გვ. 62).

ეს ფოთოლავები ერთმანეთს თანდათან დასცილდება და მათ შორის მან-  
ძილი იზრდება („ბოტ.“, 94).

წყალი დიფუზიის შედეგად შეაღწევს ერითროციტებსა და ლეი-  
კოციტებში და მათში მარილების კონცენტრაციას ამცირებს („ბადამ.“, გვ. 59—60).

სწორია თუ არა, რომ შიდასახეობრივი გაცუცები განვიხილოთ რო-  
გორც მხოლოდ ახალ სახეობათა ჩანასახები უკვე არსებულთა წილში? („ბოლონ.“, გვ. 60).

მას მიაჩნდა, რომ ზუსტი ცოლნა ბუნების შესახებ გაანთავისულებს და  
დამამინებს ცრურწმენებისაგან (იქვე, გვ. 15).

ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ყოფილიყო: ეშვება და ავსებს (ან—  
დაეშვება და აავსებს); ...რომელიც მაგრად თავდაცული იქნება; დაინახა,  
რომ მოიგრავნებოდა (ან — ხედავს, რომ მოიგრავნება); დასცილდება  
და გაიზრდება (ან — სცილდება და იზრდება); შეაღწევს და შეამცირებს

<sup>36</sup> იხილე: ლ. ლევავა, „მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრე-  
ლებიან შესიტყვებაში“: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბ., 1972, 83.  
58—98.

(ან — აღწევს და ამცირებს); სწორი იქნება თუ არა, რომ განვიხილოთ; მიაჩინდა, რომ გაათავისუფლებდა (ან — მიაჩინა, რომ გაათავისუფლებს).

3) სახელმძღვანელოებში ზოგჯერ სწორად ვერ არის შერჩეული წინადაღებებში ამა თუ იმ სახელის ბრუნვის ფორმა. მაგალითად:

წყლის გაცივებასთან ერთად ჩამატეთ ცხელი ჭყალი ისე, რომ ტემპერატურა 37°-ზე დაბლა არ და 0 წითს („ადამ.“, გვ. 276).

ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ორგანიზმის მიერ ავადმყოფობათ მიმართ წინააღმდეგობის გაზრდა აში მთავრობის გა-კავება ასრულებს (იქვე, გვ. 172—173).

ერთნაირია თუ განსხვავებული ერთსა და იმავე ორგანიზმის ნერვულსა და ტემპერატურის უკრებების ქრომოსონმთა დანაში ჩამოტკიცები გა-კავება ასრულებს (იქვე, გვ. 315).

მმ ჯუშამა დასაბამი მისცა მცოცავი ხელიკების ჯგუფს, რომელთა ქრონიკული შეცვალა ბუმბულებად (იქვე, გვ. 109).

მათი მიხედვით მანამდე შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, თუ მანამდე როგორი უსასრულო გრძელი გზა ჰქონდა გავლილი ორგანული სამყაროს განვითარებას (იქვე, გვ. 91)...

პირველ წინადაღებაში სახელობითის ნაცვლად საჭირო იყო მოთხრობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება: ტემპერატურამ არ დაიწიოს. მის მომდევნო მაგალითში უმართებულოდ ნათესაობითია ნახმარი მიცემითის ნაცვლად, უნდა ყოფილიყო: შენარჩუნებასა და გაზრდაში. მეოთხე წინადაღებაში, პირიქით, ნათესაობითის ფორმა იყო საჭირო, არის კი მიცემითი: ნერვული და ეპითელიუმის უჯრედების. შემდეგ, ზმნასთან შეიცვალა უფრო ბუნებრივი იქნებოდა მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება: შეიცვალა ბუმბულებით (შეიცვალა რით? იქცა რად?). რაც შეეხება ბოლო მაგალითს, მართალია, ზმნისართი მიხედვით, ჩვეულებრივ, ნათესაობით ბრუნვის ითხოვს, მაგრამ კუთვნილებითი ნაცვალსახელები ამ მხრივ, თითქოს, გამონაკლისს წარმოადგენენ და მათთან მიცემითი უფრო ბუნებრივი ჩანს. ამდენად, მართებული იქნებოდა: მათ მიხედვითაც.

დროის გარემოების აღმნიშვნელი სახელი ქართულში წესის მიხედვით მიცემით ბრუნვაში უნდა იდგეს<sup>37</sup>, წიგნში „ადამიანი“ კი იშვიათად დასტურდება სახელობითის ფორმებიც, მაგალითად:

უწყლოდ ადამიანს შეუძლია მხოლოდ რამდენიმე დღე-ღამე იცოცხლოს (გვ. 143).

მოზრდილ ადამიანს დღე-ღამეში 7—8 საათი უნდა ეძინოს, 14—15 წლის მოსწავლეს 8—9 საათი (გვ. 241).

<sup>37</sup> იხილე: თ. ზურაბიშვილი, „მიცემითისა და სახელობითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას“: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II თბ., 1979, გვ. 203—217.

მართებული შესიტყვებები იქნებოდა: რამდენიმე დღე-დამეს იცოც-ხლოს და 7—8 საათს და 8—9 საათს ეძინოს.

აქვე დავასახელებოთ ბიოლოგიის სახელმძღვანელოდან შემთხვევებს, როდესაც ერთგვარობა არ არის დაცული ზოგი აბრევიატურის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმის დაწერილობისას. მაგალითად:

ისინი შედინ ნუკლინის მეავებისა და ა ტ ფ -ს შედგენილობაში (გვ. 158).

ა ტ ფ -ს რაოდენობა მეტყობს (გვ. 167).

ა ტ ფ -ს მოლექულა არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ნუკლეოტიდისაგან (იქ-30).

ა ტ ფ -ს მნიშვნელობა უჯრედის სიცოცხლისათვის დალიან დიდია (გვ. 168).

ა ტ ფ -ს ა გ ა ნ ფოსფორმერის ყოველი მოლექულის მოწყვეტის რეაქციას თან ახ-ლავს დიდი ენტრაჟირივული ეფექტი (გვ. 167).

ა დ ფ -დ ა ნ კი ფოსფორმერის შეერთებით კვლავ სინთეზდება ატფ (გვ. 168)...

მაგრამ იმავე ბიოლოგიის სახელმძღვანელოში გვაქვს:

სუნთქვა იძლევა იმ ენტრაჟის, რომელიც საჭიროა... ა ტ ფ -ი ს სინთეზისათვის. ა ტ ფ -ი ს სინთეზი ხდება ყველა ორგანიზმის უჯრედების მიტოქონდრიებში (გვ. 183).

ა ტ ფ -ი ს სინთეზი — მიტოქონდრიების ძარითადი ფუნქცია (იქვე).

ა ტ ფ -ი ს გარდა მიტოქონდრიებში ხდება აგრეთვე მცირე რაოდენობით ცილების სინთეზი (იქვე).

ა ტ ფ -ი ს შემცველობა უჯრედში შეიძლება არსებითად არ შეიცვალოს (გვ. 215)...

აღნიშნული ორი ვარიანტიდან, ალბათ, მეორე უფრო სწორია და სასურველი იყო, დასახელებული აბრევიატურა წიგნში მხოლოდ ამ სახით ყოფილიყო.

4) ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოების ენაში არცთუ იშვიათად შეინიშნება ენობრივ დარღვევათა შემთხვევები წინადადებაში თან-დებულთა სემანტიკური გამოყენების მხრივაც. ეს მოვლენა საერთოდ და-მახასიათებელია თანამედროვე ქართული ენისათვის და, როგორც ჩანს, მას ვერც საანალიზო წიგნებმა დააღწიეს თავი. დარღვევები, ძირითადად, გამოწვეულია ხან თანდებულთა მნიშვნელობის გაფართოებითა თუ უმარ-თებულო გაეგით, ხან კი — ცუდი კალკირებით.

თანდებულთა უმართებულო ხმარების სამგვარი შემთხვევა გამოიყოფა: ა) როდესაც საჭირო იყო უთანდებულო ფორმა, წიგნებში კი თანდე-ბულიანია გამოყენებული, ბ) როდესაც მართებული თანდებულიანი ფორ-მის წაცვლად უმართებულო უთანდებულო ფორმა დასტურდება და გ) როდესაც სახელს ახლავს რომელიმე თანდებული, წინადადების სწო-რად ასაგებად კი საჭირო იყო სულ სხვა. მაგალითები:

I შემთხვევა

ამ შემთხვევის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიმუშებია ის მა-გალითები, რომლებშიც, კნებითი გვარის მყოფადის მიმღების ვითარე-

ბითი ბრუნვის ბუნებრივი ფორმების ნაცვლად, -თვის თანდებულიანი ნათესაობითია გამოყენებული:

გაიშალა მოძრაობა ბუნების დაცვისათვის („წყარო“, გვ. 90).

კომისაობრი რაეტების შექმნისათვის მუშაობის ხელი მოჰკილეს ახალგაზრდა მეცნიერებმა („ბუნება“, გვ. 31).

ამა დიდი მნიშვნელობა აქვს ტუშერკულობისა და სხვა დაკადებათა თავიდან აცილებისათვის („ადამ“, გვ. 117).

მათი აშენებისათვის აუცილებელია საყუათო ნივთიერებანი (ივევ, გვ. 173).

ამის გავებისათვის საჭიროა მოვიგონოთ, თუ როგორ წირმოიქმნება ცილები უჯრედებში (იქვე, გვ. 149).

ხმელეთზე ფისილოფიტების გაცრცელებისათვის მზად იყო პირობები („ბიოლ“, გვ. 93).

...რომელიც სასაჩვებლო აღმოჩნდა სახეობათა შენარჩუნებლისათვის (იქვე, გვ. 90).

ორგანიზმთა შორის ნათესაობის დაღგენისათვის მათ ასებითი მნიშვნელობა არა აქვთ (იქვე, გვ. 72).

სწორი ფორმები იქნებოდა: დასაცავად, შესაქმნელად, ასაცილებლად, ასაშენებლად, გასაგებად, გასავრცელებლად, შესანარჩუნებლად, დასადგენად<sup>38</sup>.

გარდა აღნიშნულისა, ამავე ჭულუში შევა შემდეგი წინადადებებიც:

ვთქვათ, კარალა მასწავლებლის მაგიდიდან ჩრდილოეთ მხარეზე ა..., ხოლო ვარი დასაცავლეთ მხარეზე მღებარეობს („წყარო“, გვ. 21).

მიაბით ძაფზე პატარა ტუშირთი („ბუნება“, გვ. 7).

მავთულის ბოლოზე ეკიდა რკინის სახიავი (იქვე, გვ. 62).

სადენთა ბოლოები შევავერთოთ ნათურასთან (იქვე, გვ. 60).

ამ მიზნისათვის მწვანე მცენარე იყენებს მზის სინათლის ენერგიას („ბიოლ“, 221).

უკველი ორგანიზმი ინდივიდუალურ განვითარებაში მოქლედ იმეორებს თავისი სახეობის განვითარების ისტორიის (იქვე, გვ. 76).

სასაჩვებლო ცვლილებები ინდივიდებს ანიჭებს თუნდაც მინიმალურ უპირატესობას გადარჩენაში (იქვე, გვ. 44).

საბოლოო ანგარიშში ისინი უმთავრესად ემსახურებიან პოპულაციისა და სახეობის გადარჩენას (იქვე, გვ. 40)...

აჭიბებდა ყოფილიყოთ: ჩრდილოეთ მხარესა, დასაცლეთ მხარეს მდებარეობს, მიაბით ძაფს (ან — ჩამოკიდეთ ძაფზე), მავთულის ბოლოს ეკიდა (ან — მავთულს ბოლოზე ეკიდა), შევუერთოთ ნათურას, ამ მიზნით იყენებს, განვითარებისას იყენებს, გადარჩენისას ანიჭებს, საბოლოო ანგარიშით.

<sup>38</sup> იხილე: ვ. კალანდაძე, „დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესი“: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, III, თბ., 1980, გვ. 206—217.

## II შემთხვევა

სურათზე... არის ნაწერები, საით წავა ქვა, თუ მას ავის ვრით დედამიწის სხვა-დასხვა აღ გილას („ბუნება, გვ. 8, აგრეთვე, გვ. 6).

ორივე სწრაფული გაეშურა შინ (იქვე, გვ. 62).

(ის) ბინაღობს ნაპირის ახლოს („ჰოლო“, გვ. 60).

მცირე დაბიანგბამცა კი შეიძლება დარღვის სასიცოცხლო მნიშვნელო მანამაღლური მოქმედება („ადამ“, გვ. 29).

რით გამოიხტება ფრინველების ზრუნვა შთამომავლობაზე? („ჰოლო“, გვ. 194, აგრეთვე, გვ. 152)

იგი იმით გამოიხტეა ტება, რომ აგღალმყოფს აქვს არაპროპორციული პატარა თავი („ბოლო“, გვ. 345, აგრეთვე, გვ. 276).

დარვინიზმი... ჰერცეგული მნიშვნელობაც აქვს, ენაიდან მიგვანიშნებს ცოცხალი ორგანიზმების შეცვლის გზებს ადამიანის სასარგებლოდ („ბოლო“, გვ. 16).

ა. ნ. სკეპტიკოვმა მიუთითა შემდგენ გზები (იქვე, გვ. 100).

რომელი დამატეცებელი საბუთები მეტყველებს იმას, რომ კაცობრიობის შველა რასა მიეკუთვნება ერთ სახეობას? (იქვე, გვ. 140)...

ბუნებრივი ქართულის თვალსაზრისით სასურველი ცო, წინადაღებებში დასახელებული უთანდებულო ფორმები გადმოცემული ყოფილიყო თანდებულებით. სახელდობრ: პირველ მაგალითში — ავისკრით ადგილოდან, მეორეში — გაეშურა შინისკენ (ან — წავიდა შინ), მესამეში — ნაპირთან ახლოს, მეოთხეში — სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი, მოძღვნო ირ შემთხვევაში -ში თანდებული ცო საჭირო: რაში გამოიხატება და იმაზი გამოიხატება<sup>39</sup>, ხოლო ბოლო სამ წინადაღებაში -ზე თანდებული უნდა გამოეყენებინათ: მიგვანიშნებს გზებზე, მიუთითა გზებზე, მეტყველებს იმაზე.

ევე ცალკე გამოვყოფთ შემთხვევებს, როდესაც წინადაღებაში ამა თუ იმ სახელთან სინტაგმას ქმნის ზმნა შეგუებულია. სახელმძღვანელოებში ასეთ მაგალითებშიც, ძირითადად, სახელი უმართებულოდ უთანდებულო მიცემითის ფორმით არის წარმოდგენილი:

ისინი შეგუებული არიან წყალში ცხოვრებას („ბოტ.“, გვ. 267, აგრეთვე, გვ. 254).

მარცვლოვნებს გარდა სხვა მცენარეებიც გვხდება, რომებიც შეგუებულია ველის გვალვან საარსებო პირობებს (იქვე, გვ. 262, აგრეთვე, „ბოლო“, გვ. 63).

აქ ბევრია არხეტიანი და მხოხავი მცენარეები, რომებიც კარგიდან შეგუებული გათელვას („ბოტ.“, გვ. 265).

თევზების სხეული კარგიდან შეგუებული ფსერჩე ყოფნას და შლამი საკვების... მოპოვებას („ჰოლო“, გვ. 129).

<sup>39</sup> შდრ.: რაში გამოიხტება... ინფრაწითელი სხივების.. მოქმედება ორგანიზმე („ბოლო“, გვ. 357).

ლარვა წარმოადგენს განვითარების ისეთ სტადიას, რომელიც სპეციალურად შე-  
გუებულია აქტურ კვებასა და ზრდას („ბიოლ.“, გვ. 271).

ჩვეულებრივ ლარვები და ზრდასრული ორგანიზმები შეგუებული არიან  
სხვადასხვა პირობებში ისე გუებობას (იქვე).

ბევრი სახეობა შეგუებული სრული სიბრუნვის პირობებში, სიცოცხლეს  
(იქვე, გვ. 352—353)...

აქ წარმოადგენილ ყველა შემთხვევაში უფრო ბუნებრივი იყო -თან  
თანდებულიანი მიცემითი გამოყენებინათ, რისი მაგალითები დასტურ-  
დება კიდევ ამავე წიგნებში:

ვაცაწვერა შეგუებული თავისი თანასახოვადოების სასიცოცხლო პირო-  
ბებთან („ბიოლ.“, გვ. 249, აგრეთვე, გვ. 250, 267).

ბუჩქების უმეტესობა შეგუებული მწერებით დამტკერვასთან (იქვე,  
გვ. 254).

სკაროსის სხეული კირგალი შეგუებული ფსკერზე ცხოვრებასთან  
(„ბიოლ.“, გვ. 127).

კატის სხეული მშევნიერად არის შეგუებული მსხვერპლის აღმოჩენასა  
და დაკერასთან (იქვე, გვ. 232).

სპილო სხეულის აგებულებით შეგუებულია ხშირ ტყეებში არსებობას-  
თან (იქვე, გვ. 254).

ცხენის აგებულება შეგუებულია სწრაფ სირბილთან (იქვე, გვ. 258)...

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ ასეთივე სიჭრელეა  
სახელმძღვანელოებში იმ შემთხვევაშიც, როდესაც ესა თუ ის სახელი  
წინადაღებაში დაკავშირებულია საწყისთან შეგუება. ოლონდ იმ განსხვა-  
ვებით, რომ აქ -თან თანდებულიანი სახელების პარალელურად გამოყე-  
ნებულია -დან თანდებულიანი ფორმები. მაგალითად:

მცენარეთა და ცხოველთა შეგუება გარემოს პირობების სეზონური რიტმი-  
სა და და („ბიოლ.“, გვ. 358).

თბილისისხლიანთა შეგუება გამოზამთრებისა და მის მისა და (იქვე, გვ. 360).

ფრენისა და და შეგუება... იყო ის დიდი არმორფოზული ცვლილება, რომელ-  
საც მომჟერა ფრინველების წარმოშობა (იქვე, გვ. 109).

ტენის ნაკლებობისა და ცხოველს (იქვე, გვ. 357, აგრეთვე, გვ. 356).

ცხოველებს წარმოქმნათ მრავალრიცხვითი შეგუებანი დღისა და ღამის სა-  
სიცხლონ ნირისა და მის (იქვე, გვ. 353).

პირობითი რეცლებების წარმოშობა და მათი შეკავება უზრუნველყოფს ორგანიზ-  
მის მულტივ შეგუებას გარემოს ცვალებადი პირობებისა და („ბიოლ.“, გვ.  
269, აგრეთვე, გვ. 85, „ბიოლ.“, გვ. 74).

დასახელეთ ტენის სიმცირისა და მცენარეთა და ცხოველთა შეგუების  
მაგალითები („ბიოლ.“, გვ. 357)...

მაგრამ იქვე დასტურდება:

მათ გამოუმუშვდათ ზამთართან სხვანაირი შეგუება („ბიოლ.“, გვ. 360).

მთავარი მნიშვნელობა აქვს შეგუებას არა ზაფხულის ტემპერატურულ პირო-  
ბებთან, არამედ ზამთრის უარყოფით ტემპერატურასთან (იქვე, გვ. 356)...

ნიკოლერგვათა დაშლისა და დაქანგვის დროს უკრებში თავისუფლდება ენერგია, რომელიც მაში მიმღინარე სასიცოცხლო პროცესებისათვის იხილება („ადამი“, გვ. 17).

ცლის გამო იტანე თ დასკვნა („ბუნება“, გვ. 124).

ზოგიერთი შეძლება სრულიად გაქრეს, გაქრეს შემთხვევით და თანაც მათს ბიოლოგიურ ღირებულებაზე დამოუკიდებლად („ბიოლი“, გვ. 58).

გამოიანგარიშეთ, რამდენად უფრო იხლოსა ა მთვარე ჩვენგან მზესთან შედარებით („ბუნება“, გვ. 26).

სხვა ცდებში ი. პავლოვი კვების შეულლებას ასდენდა საყვირის ხმასა და ცხოველის კანის ფანაზე („ადამი“, გვ. 224).

ცელებადობაზე მოშინურების გავლენის ეს პროცესი დეტალურად აა შესწოვლილი ცხოველებზე აკადემიკოს დ. კ. ბელიავესი მიერ („ბიოლი“, გვ. 334).

ბაშვებისა და ახალგაზრდების ქველები იზრდება სიგრძეზე და სისქებში („ადამი“, გვ. 39).

განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული გვერდისა და კუდის კუნთები, რომლებსაც თვეზის მოძრაობაზე იმთავრი მნიშვნელობა აქვთ („ბიოლი“, გვ. 117).

ბრძოლა ასებობისათვის გულის ხმობა... ერთი სახეობის მიერ მეორე მეორე იმავა ხელის შეწყობას („ბიოლი“, გვ. 42).

სწორედ ღის ხანგრძლივობის სეზონურმა ცვლილებებმა მოიპოვა ასეთი დიდი მნიშვნელობა და ცხოველთა სიცოცხლეში (იქვე, გვ. 363)...

დასახელებულ მაგალითებში სახელებისათვის სემანტიკურად ზუსტად ვერ არის შერჩეული ესა თუ ის თანდებული. სახელდობრ: პირველ წინადადებაში აჯობებდა, ყოფილიყო: იხარება პროცესებზე, მეორეში — ცდიდან გამოიტანეთ, მესამეში — ღირებულებისაგან დამოუკიდებლად (მაგრამ — დამოკიდებულია ღირებულებაზე), მეოთხესა და მეხუთე მაგალითებში უნდა გამოიყენებინათ -თან თანდებული: ახლოსაა ჩვენთან (მაგრამ — დაშორებულია ჩვენგან) და შეულლებას ახდენდა ფხანასთან, მომდევნო ორ შემთხვევაში საჭირო იყო -ზი თანდებული: დეტალურადაა შესწავლილი ცხოველებში და იზრდება სიგრძეში, ხოლო ბოლო სამ წინადადებაში უფრო მართებული იქნებოდა -თვის თანდებულიანი ფორმები: მოძრაობისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს, გულისხმობს მეორისათვის ხელის შეწყობას და მოიპოვა მნიშვნელობა სიცოცხლისათვის.

ბოლოს, აქვე დავასახელებთ წინადადებებს, რომლებშიც ამა თუ იშვიათობან წყვილებს ქმნის ზმნა მიემართება. სახელმძღვანელოებში ასეთ შემთხვევაში სახელს უმთავრესად ერთვის -თან ან -ზი თანდებულები, მართებული კი იქნებოდა, -კენ თანდებულიანი ფორმები გამოიყენებინათ. წიგნებში ასეთებიც დასტურდება. მაგალითები:

მათში მოთვესებულ სისხლიარღვებთან მიემართება ძარღვების შემავრებელი ნერვულები („ადამი“, გვ. 91).

რიბოსომა მიემართება რომელიმე საინფორმაციო ჩნდეთან („ბიოლი“, გვ. 231)...

ამის შემდეგ სისხლი სპეციალური არტერიებით მიემართება ლაზუნებში.

(„ზოლი“, გვ. 55).

სისხლი ფილტვებში მიემართება („ადამი“, გვ. 77).

სისხლი... იქიდან... მიემართება სხეულის სხეულის ნაწილის არტერიებში და კაპილარებში (იქვე).

სისხლი ფილტვებში მიემართება („ადამი“, გვ. 77).

ცილის სინეზისათვის ჩიბოსომებში მიემართება ამ ინფორმაციის ზუსტი ასლები („ბიოლი“, გვ. 228).

ისინი... მიემართებიან ახლად წარმოქმნილ ახალგაზრდა უჭრებებში (იქვე, გვ. 30).

ისინი მიემართებიან მცენარის სხვა ნაწილებში (იქვე, გვ. 185)...

მაგრამ იქვეა:

ლაყუჩებიდან სისხლი ისევ წინაგულისაკენ მიემართება („ზოლი“, გვ. 56).

ქრომატიდი უჭრების პოლუსებისაკენ მიემართება („ბიოლი“, გვ. 199).

ატფ... შემდეგ უჭრების ბირთვისა და ორგანოდებისაკენ მიემართება (იქვე, გვ. 183).

საინფორმაციო რემ-ს მოლეკულები მიემართება ცილის სინეზის აღვილებისაკენ, ი. რიბოსომებისაკენ (იქვე, გვ. 228).

ქრომოსომები... უკვირორისაკენ მიემართებიან (იქვე, გვ. 199).

5) სახელმძღვანელოებში ყოველთვის კარგად ვერ არის გამოყენებული დამხმარე სიტყვები თუ ნაწილაკები. მაგალითად:

ამას ვე შევამჩნევთ ოთახშიც („ბუნება“, გვ. 15).

ცნობილია, აგრეთვე ხელონერი დამტკერვაც („ბოტი“, გვ. 122). ამ კანონსმიერების გამოვლინებას ვხვდებით აგრეთვაც ცხოველებშიც („ბიოლი“, გვ. 311).

ტყეში... შეინაშება, აგრეთვე, სარგებლობაც (იქვე, გვ. 42).

საგრია სელექციონერებს დიდი მიღწევები აქვთ მომოვებული აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეცნიერო კულტურების მიმართაც (იქვე, გვ. 332).

ზოგა მათვანი ახლა მნიშვნელოვანებშიც გვხვდება („ბუნება“, გვ. 65)...

ყველა შეგალოთში ერთი და იმავე დანიშნულების ორ-ორი დამხმარე სიტყვა თუ ნაწილაკია გამოყენებული (ცე — ც, აგრეთვე — ც, შხოლოდ — და), რაც არ არის გამართლებული ენობრივი თვალსაზრისით, რადგან აზრის გადაწისაცემად ერთ-ერთი მათვანიც საკმარისი იყო.

ამის რიგისაა შემდეგი წინადაღებები:

გვერცილებულია მცდარი შეხედულება, რომ თითქოს სპირტიანი სასმელები ამნევეგენ აღმიანის („ადამი“, გვ. 239).

იმ ღრის ღრდად იყო გვერცილებული შეხედულებები, რომ თითქოს ბაჟანები ჩნდებიან ტერიტორიულამის ან ლამისაგან („ბიოლი“, გვ. 241).

მისი დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ თითქოს სიცოცხლის ჩანასახები გაუანტულია კოსმოსურ სივრცეში (ძვ. 245).

ფიქრობდნენ, რომ სიცოცხლის ჩასახისათვის თითქოს აუცილებელია სუფთა ჰაერი (ძვ. 243).

ზედმეტია აგრეთვე -ც ნაწილაკი შემდეგ მაგალითებში:

წყალი სითხეა. მაგიდაზე რომ დავასხაო, ძირს გადმოიღვრება, ამიტომაც წყალს რაიმე ჭურჭელში ასხამენ („ბუნ. კარი“, გვ. 7).

ამიტომაც მათ შეუძლიათ მჟღადროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს („ბიოლ.“, გვ. 163).

თავის ადგილზე არ არის ნახმარი ნაწილაკები შემდეგ ფრაზებში:

„ბიოლოგიური სათი“ განსაზღვრავს როგორც მთლიანი ორგანიზმის, ისე უკრედების დონეზეც მიმღირაზე პროცესების აქტივობასაც და ...რატომ ეწოდება დედამიწას ციური სხეული („ბუნება“, გვ. 7).

გაგრევირებათ, რატომ ეწოდება ამ დედამიწას ციური სხეული („ბუნება“, გვ. 7).

უნდა ყოფილიყო: განსაზღვრავს... უკრედების დონეზე მიმღირაზე პროცესების აქტივობასაც და ...რატომ ეწოდება დედამიწას ციური სხეულით.

ბოტანიკის სახელმძღვანელოში იშვიათად დასტურდება უარყოფითი არა ნაწილაკის წინადადებისათვის შეუფერებელი არ ფორმები:

ქარით დამტვრავ მცენარეებს არ აქვთ გვირგვინის ჭურცლები (გვ. 121).

გვიმრები გვაგრებენ ყვავილოვან მცენარეებს, მაგრამ ყვავილი არ აქვთ (გვ. 228).

უმჯობესი იყო, ყოფილიყო: არა აქვთ.

6) საანალიზო წიგნებში ზოგჯერ წინადადების კონტექსტისათვის შინაარსობრივად შეუფერებელია რომელიმე სიტყვის ესა თუ ის ფორმა. მაგალითად:

მის მიწებთ ქაღალდის ნაჟერი იმ ადგილას, სანამ დისაც წყალი ავიდა („ბუნება“, გვ. 70).

პლასტმასის მილი თითქმის ისევე მტკიცეა, როგორც... იმავე მასალის მთლიანი ღერები. ამისათვის ტექნიკაში... შენობებს ხშირად მილებისაგან აგებენ („ადამ.“, გვ. 38).

საბჭოთა სულექციონერებს დიდი მილწევები აქვთ მოპოვებული აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართ („ბიოლ.“, გვ. 332).

პირველ წინადადებაში უმართებულოდ დროის კავშირია გამოყენებული ადგილის გამომხატველი სადამდის ზმნიზედის ნაცვლად. უნდა ყოფილიყო: სადამდისაც წყალი ავიდა. მეორეში — ჩანს, მიზეზისა და მიზნის ზმნიზედებია არეული; კონტექსტის მიხედვით აქ საჭირო იყო მიზეზის ზმნიზედა ამიტომ. ბოლო მაგალითში კი, ნაცვლად თანდებულისა მიმართ, უნდა გამოეყენებინათ მხრივ.

კონტექსტისათვის შეუფერებელი ფორმებია სხვა წინადადებებშიც:

შეორებ სინჯარის შიგთავსი კი მაგრად შეანგლირიეთ 1—2 წუთის განმავლობაში („ადამ“, გვ. 273).

ადამიანის რომელიმე ორგანოს თხელ ანთალს თუ გაესინჯავთ მიკროსკოპში, დავინახავთ, რომ ჩვენს სხეული... უქრედოვანი ავებულება აქვს („ადამ“, გვ. 12, აგრეთვე, „ბიოლ.“, გვ. 168, „ჰოლ.“, გვ. 69, „ბოტ.“, გვ. 50).

კრისმონანუტებმა მრავალჯერ შემოუფრინეს დედამიწას და დაინახეს, რომ მას სფეროს ფორმა აქვს („ბუნება“, გვ. 7).

ზოგჯერ ზაფხულის ცხელ დღეს გზაზე ან ნახნაეში ერთბაშად აღგება კორიანტი ელი (იქვე, გვ. 47—48).

სუსტი ქარიც კი მტკვრს აყენებს ხოლმე (იქვე, გვ. 47).

ადამიანი და ცხოველები სარგებლობენ იმ მზა როგორული ნივთიერებებით, რომლებიც მხოლოდ მწვანე მცენარეში შეიძენება („ბოტ.“, გვ. 88).

ამის მილწევა უსაძლო გახდა კობრისათვის ხელსაყრელი სასიცოცხლო პირობების შექმნით („ჰოლ.“, გვ. 139).

კობრის მოსაზენებლად საგუბრო მუსრულობა ჩვეულებრივად რამდენიმე გუბრისაგან შედგება (იქვე, გვ. 138).

გამოიჭირავდათ... ტემპერატურის შენარჩუნების მეტად ეცია ტიანი ხერხი („ბიოლ.“, გვ. 355).

პირველ მაგალითში უნდა ყოფილიყო: ანჯლრიეთ 1—2 წუთის განმავლობაში. მეორესა და მესამე წინადადებებში უფრო ბუნებრივი ფორმები იქნებოდა: ვნახავთ და ნახხეს, მეოთხეში — დადგება კორიანტელი, მეხუთეში — მტკვრს დააყენებს, მეექვსეში — წარმოიქმნება, მეშვიდეში სწორი გამოთქმა იქნებოდა: შესაძლებელი გახდა, მერვეში — მოხაზენებელი მეურნეობა, ხოლო ბოლო შემთხვევაში სასურველი იყო ეხმარათ ქართულში უფრო გავრცელებული ფორმა: ეცვეტური ხერხი.

მოვიყენოთ წინადადებისათვის აზრობრივად შეუფერებელ სიტყვათა კიდევ რამდენიმე ნიმუშს.

დაზარალებულმა ხომ სისხლის უქრედების დიდი რაოდენობა დაკარგა („ადამ“, გვ. 61).

რატომ არ ეძახიან ხეხილს მუხას? („ბუნ. კარი“, გვ. 37).

როდესაც... ასეთი კოლო ანოფელესი უკაბესს “კანტრელ ადამიანს, იგი მას დასებო კნებს” („ჰოლ.“, გვ. 20).

განსაკუთრებით ბავშვები ჭირები და განკლენებით (იქვე, გვ. 42).

მაშინ კვერცხების გადაყალაპვა და დაჭირება სრულიად ბუნებრივია (იქვე).

თუ ადამიანი უკვე დაჭირებულია, აუცილებელია მცურნალობა (იქვე, გვ. 41, აგრეთვე, გვ. 40)...

პირველ წინადადებებში უნდა იყოს დაშავებული, რაღაც დაზარალებულს სხვა მნიშვნელობა აქვს. მეორეში საჭირო იყო ზმინა უწოდებენ. მესამეში აჯობებდა, გამოეყენებინათ დაავადებს ან დაასნეულებს, რაღაც, მართალია, სნება სენის, ავადმყოფობის, სნეულების სინონიმია, მაგრამ იგი დღეს მეტად შეზღუდულად იხმარება, ხოლო რაც შეეხება ბოლო მაგალითებს, აქ არ უნდა იყოს მთლად გამართლებული და მოხერხებული.

ლი სიტყვა დაჭიანების გამოყენება ადამიანების მიმართ. ჭიანი შეიძლება იყოს ესა თუ ის პროდუქტი, ხე-ტყე, ხშირად, ხილი, ადამიანის კბილიც, მაგრამ თვით ადამიანზე, თუნდაც მას ჭია ჰყავდეს, ჭიანს, ჩვეულებრივ, არ იტყვიან. ამიტომ, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა, აღნიშნული ფრაზები სხვაგვარად გადმოეცათ, მაგალითად: განსაკუთრებით ბავშვებს უჩნდებათ ჭია, მაშინ ჭიას გაჩენა სრულიად ბუნებრივია, თუ ადამიანს უკვე ჰყავს ჭია<sup>40</sup>.

ბოლოს, შევნიშნავთ კიდევ ერთი შეუსაბამობის შესახებ. სახელ-დობრ, ზმნა გააჩნია ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში იმ თავისებუ-რებით ხასიათდება, რომ ისვევ, როგორც მისი სინონიმური ზმნები მო-ეპოვება და აბადია, ძირითადად, იხმარება უარყოფით წინადადებებში ან მაშინ, როგორც იგი შესიტყვებაში ნაცვალსახელთანაა დაკავშირებული (უპირატესად, კითხვით ან მიმართებით ნაცვალსახელთან). მაგრამ ზოგ-ჯერ ამ ზმნას ვხვდებით არა მხოლოდ უარყოფით წინადადებაშიც, რაც არ არის სასურველი ბუნებრივი ქართულის თვალსაზრისით. ასეთი შემ-თხვევები იქ-იქ ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოებშიც დავადას-ტურეთ. მაგალითად:

დედამიწაზე ვარტულიბული მცენარეებიდან ჯველაზე მრავალრიცხოვნია ფარულ-თესლოვანი მცენარეები, რომელთაც გააჩნიათ ცვავილი („ბოტ.“, გვ. 242).

ყველა მცენარეს, რომელთაც ლერო და ფოთლები გააჩნიათ, უმაღლეს მცე-ნარეებს უწოდებენ (იქვე).

მათ გააჩნიათ არა მარტო ლერო და ფოთლი, ასამედ ლესცე-ც უკითარდებათ (იქვე, გვ. 228).

ინდივიდებს, რომელსაც ეს ცელილებები ვააჩნიათ, „მეტი შესაძლებლობა უწევდით თვეისი გვარის შენარჩუნებისა და გმირავლებისათვის“ („ბოოლ.“, გვ. 44).

ყველა შემთხვევაში აჭობებდა ეხმარათ ზმნა აქვთ (მოცოვებათ).

ბოლო ხანებში ქართულ სალიტერატურო ენაში ცეხს იცილებს ერთი მოვლენა; სახელდობრ, ნაცვლად ქართულისათვის ბუნებრივი ზმნური შე-მასმენლისა, ვრცელდება შემასმენლის აღწერით სახით წარმოდგენილი ფორმები, ანუ ისეთი შემასმენლები, სადაც დამხარე ზმნის ფუნქციას ასრულებს ხშირად შინაარსისაგან დაცლილი ესა თუ ის ზმნა, შემასმენ-ლის შეორე ნაწილს კი წარმოადგენს, ძირითადად, მასდარი ან სახელი. აღწერილი მოვლენის დამადასტურებელი მაგალითები საანალიზო წიგ-ნებშიც გვხვდება. მაგალითები:

<sup>40</sup> ექვე აღნიშნავთ, რომ ზოოლოვის სახელმძღვანელოს ბოლო გმოცემაში წინა გამოცემებში აჩვებელი ასამდენიმე ასეთი ფორმა გასწორებულიც არის, მაგალითად: „სისუფთავის დაცვა აუცილებელი პირობა იმისა, რომ აღმიანის არ გაუჩნდეს ჭია“ (გვ. 43). ძეველ გამოცემაში იყო: „სისუფთავის დაცვა აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ აღმიანი არ დაჭიანდეს“ (გვ. 48); იგრეთვე: „ბავშვებს, რომელიც არ იცავენ სისუფთავეს, უჩნდებათ ჭია“ (გვ. 43); ის. ძეველში — „ის ბავშვები, რომელიც არ იცავენ სისუფთავეს, იჭიანებენ თავის თავის...“ (გვ. 48).

როგორ მიმდინარეობს მარცვლოვანი კულტურების დავალება გუდა-ფუნქცია სოკოებით? („ბოტ.“, გვ. 221).

ცოცხალი ორგანული ნივთიერებების წარმოქმნა დედამიწის ზედაპირზე შიმდინარეობს („ბიოლ.“, გვ. 391).

მცენარეები... წარმოქმნა არგანულ ნივთიერებათა დაუანგვივა (იქვე, გვ. 399).

ისინი იმ მიმართულებით არიან განლაგებულნი, საიდანაც ძვლები უფრო მეტ დაჭიმვასა და მოჭრას განიცდიან („ადამ.“, გვ. 38).

ერთ ქრომოსომაში ლოკალიზებული გენები... დამოუკიდებლად განაწილებას არ ამჟღავნებენ („ბიოლ.“, გვ. 289).

ამასთან, ნათელი ხდება, თუ რატომ იჩენენ განსხვავებას დათიშვის მხრივ დომინანტური ნიშან-თვისების მქონე ინდივიდები (იქვე, გვ. 279).

არ უნდა დავუშვიათ პირის ღრუსა და განსაკუთრებით კბილებს შორის საჭმლის ნაჩენების დაგროვება („ადამ.“, გვ. 125).

ერთ სპერმატოზოიდში ღნმ-ის შემცველობა უდრის  $3,310^{-12}$  გრამს („ბიოლ.“, გვ. 234)...

დასახელებულ მაგალითებში ზმნები: მიმღინარეობს, წარმოებს, განცდიან, ამჟღავნებენ, იჩენს და სხვა დამხმარე ზმნის ფუნქციას ასრულებენ, რადგან მათი მნიშვნელობები ან დაშორებულია პირვანდელ შინაარსს, ან სეროთოდ დაცლილია მისგან, ხოლო სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი წინადადებაში ამ ზმნებთან შეწყობილი მასდარებია. ამიტომ, ყველა მოყვანილი წინადადება აჯობებდა შეცვლილყო ისეთი ფრაზებით, სადაც აღწერითი შემასმენლის ადგილს ზმნური დაიკერდა. მაშინ მივიღებდით ქართულისათვის უფრო ბუნებრივ, უკეთეს გამოთქმებს. სახელდობრ:

როგორ ავადდება მარცვლოვანი კულტურები გუდაფუნქცია სოკოებით? ცოცხალი ორგანული ნივთიერებები დედამიწის ზედაპირზე წარმოიქმნება; მცენარეში იფანგება ორგანული ნივთიერებანი; ისინი იმ მიმართულებით არიან განლაგებულნი, საიდანაც ძვლები უფრო მეტად დაჭიმული და მოჭრილია; ერთ ქრომოსომაში ლოკალიზებული გენები დამოუკიდებლად არ წარილდებიან; ამასთან ნათელი ხდება, თუ რატომ განსხვადებიან დათიშვის მხრივ დომინანტური ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდები; არ უნდა დავიგროვოთ პირის ღრუსა და განსაკუთრებით კბილებს შორის საჭმლის ნაჩენები; ერთი სპერმატოზოიდი შეიცავს  $3,3 \cdot 10^{-12}$  გრამ ღნმ-ს.

შენებრივი ქართულის თვალსაზრისით ასევე გაუმართავია შემდეგი წინადადებები:

...მეგრამ მათი როლი უკრედის სიცოცხლისათვის მაინც ძალიან დიდია („ადამ.“, გვ. 15).

დიდია ნერვული სისტემის მნიშვნელობა<sup>5</sup> სხეულის ორგანოთა შეთანხმებული მუშაობისათვის (იქვე, გვ. 10).

განსაკუთრებით დიდია ადამიანის მსგავსება ძუძუმწოვარ ცხოველებთან (იქვე, გვ. 6).

19. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

ბიოლოგიის წარმატებებით განსაკუთრებით დიდია („ბიოლ.“, გვ. 5)...

აჭობებდა ყოფილიყო: ისინი უჯრედის სიცოცხლისათვის დიდ როლს თამაშობენ; ნერვულ სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის ორგანოთა შეთანხმებული მუშაობისათვის; აღამიანი განსაკუთრებით ჰგავს ძუძუმწოვარა ცხოველებს; ბიოლოგიას განსაკუთრებით დიდი წარმატებებია აქვს.

ენობრივად დასახვეწია სახელმძღვანელოებში დადასტურებული ისეთი წინადაღებებიც, როგორიცაა:

როდესაც გრიბით ავიდ მყოფთან გაქვთ ურთიერთობა, ცხვირი და პირი დოლანდის სახვევით აიკარით („ადამ“, გვ. 116).

რატომ გვიჩერდება სუნთქვა მკვეთრი სუნის ნივთიერებათა შესუნთქვის დროს? (იქვე, გვ. 115).

ამიტომ კითხვის, წერის, ქარგვის ან სხვა სამუშაოს დროს,... ეს საგნები თვალიდან 30—35 სმ დაშორებით უნდა ვიქონიოთ (იქვე, გვ. 209).

ყველა შემთხვევაში წინადაღებას თითქოს სიტყვა აკლია და ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, შემდეგი სახით ყოფილიყო: როდესაც გრიპით დაავადებულ ავადმყოფთან გაქვთ ურთიერთობა, ცხვირი და პირი დოლანდის სახვევით აიკარით; რატომ გვიჩერდება სუნთქვა მკვეთრი სუნის შეონე ნივთიერებათა შესუნთქვის დროს? ამიტომ კითხვის, წერის, ქარგვის ან სხვა სამუშაოს შესრულების დროს, ... ეს საგნები თვალიდან 30—35 სმ დაშორებით უნდა ვიქონიოთ.

წიგნებში ზოგჯერ გვხვდება საწინაღმდეგო მოვლენაც, როდესაც, პირიერი, სიტყვა ზედმეტია წინადაღებაში. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, შინაარსისაგან დაცლილი და არაფრის გამომხატველი სიტყვა-პარაზიტი საქმე. მაგალითად:

ასე ჩაეყარა მეცნიერული საფუძველი ბუნების შემდგომი შესწავლის საქმეს („ბიოლ.“, გვ. 10).

ჩვენს ქვეყანაში წიაღის დაცვის საქმეზე მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებანი („ბუნება“, გვ. 97).

გვამჩეოთ, რისთვის იყენებენ ელექტროდენს მრეწველობაში... ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის საქმეზე (იქვე, გვ. 60).

ამ კარიღინლური პრობლემის გადაწყვეტის საქმეზე ბიოლოგიის წარმატებები განსაკუთრებით დიდია („ბიოლ.“, გვ. 5).

დიდი მიღწევებია მოპოვებული საგაზაფხულო ხორბლის ჯიშების გამოყვანის საქმეზიც (იქვე, გვ. 332).

მოლექულური ბიოლოგია ფართო პრესპექტივებს უსახავს აღამიანს სასიცოცხლო პროცესების მართვის საქმეზი (იქვე, გვ. 6)...

დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, რომ ასეთ შემთხვევებში სიტყვა საქმე არაფრის მატებს ფრაზას და რომ მის გარეშე წინადაღება უფრო დახვეწილი და ბუნებრივი იქნებოდა: ჩაეყარა საფუძველი შესწავლას;

წიაღის დასაცავად მუშაობენ; რისთვის იყენებენ ელექტროლენს ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში და ა. შ.

ზედმეტია აგრეთვე სიტყვა მნიშვნელოვანი შემდეგ წინადაღებაში:

გარემოში ჰაერის მუდმივი შედგენილობის არსებობა ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი პირობაა („ადამ.“, გვ. 106—107).

ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოების ენაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე დარღვევები სინტაგმაში სიტყვათა შერჩევის მხრივ. სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ორი სიტყვა შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კავშირი გამართებულია სემანტიკურად, ტრადიციით და განხორციელებულია ენობრივი ნორმების გათვალისწინებით. სიტყვათშეხამებისას საჭიროა რამდენიმე სინონიმური სიტყვიდან შეიჩეს სწორედ ის, რომელიც ამათუ იმ შემთხვევისათვის იქნება გამოსადეგი, საანალიზო წიგნებში კი ამ მხრივ ყველაფერი რიგშე არ არის. მაგალითები.

ყნოსვის რეცეპტორებს განსაკუთრებული მაღალი მგრძნობელობა აქვს („ადამ.“, გვ. 219).

ორგანულ სიმყაროში ღრმა ცვლილებები ხდებოდა („ბიოლ.“, გვ. 98).

დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმი მხოლოდ ერთხელ წარმოიშვა, თუ დედამიწის სტრუქტის გრძელ მანძილზე მასშე არა ერთხელ წარმოშობილან, ორგანიზმები? (იქვ, გვ. 241).

ეს გზა საქმიანობ ვრცელია (იქვ, გვ. 60).

კ. ა. ტიმირიაზევმა მთელი მეცნიერული მოღვაწეობა დარვინიზმისადმი მგზნება რესამსახურით გამოხატა (იქვ, გვ. 23).

შეიქმნა გვალვანიზმი პირობები, რაც უაღრესად არახელსაყრელი იყო ამფიბიებისათვის (იქვ, გვ. 97).

(მიღლის) უკანა ბოლო ისნება მანტის ღრუში. ხოლო უფრო ვიწრო წინა ბოლო გამოყოფილია გარეთ („ზოოლ.“, გვ. 61—62).

სხეულის წინა ბოლოზე აქვს პირის ხერელი, უკანა ბოლოზე — უკანა ხერელი (იქვ, გვ. 47, აგრეთვე, გვ. 41, 42, 33, 36...).

ყველაგან მოყვანილ წინადაღებებში საზღვრულებისათვის უხეიროდაა შერჩეული მსაზღვრელები. სახელდობრ, ზედსართავები მაღალი და ღრმა სახელებს გარკვეული ნიშნის მიხედვით ახასიათებენ და მათი განურჩევლად თითქმის ყველა სიტყვისათან ხმარება (როგორც ეს ამ ბოლო ღროს ხდება) გაუმართლებელია. დასახელებულ მავალითებში მათ ნაცვლად, აღნათ, აჯობებდა: განვითარებული, დიდი (მგრძნობელობა) და დიდი (ცვლილებები).

ჩვეულებრივ, სახელთან მანძილი ხმარობენ მსაზღვრელს დიდი, ხოლო ზედსართავი გრძელი გზას უკავშირდება. ამიტომ დადასტურებულ წინადაღებებში პირველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: დიდი მანძილი,

ხოლო მომდევნო სიტყვათშეხამება უნდა შეიცვალოს სინტაგმით გზა გრძელია.

არ ვარგა აგრეთვე სინტაგმები: მგზნებარე სამსახური და გვალვიანი პირობები; სამსახურს მეწყვილედ, ალბათ, ერთგული, თავდადებული, უანგარო... უფრო შეეფერებოდა<sup>41</sup>, ხოლო პირობები შეიძლებოდა ყოფილიყო გვალვიანი ამინდისა, მაგრამ არა თვით გვალვიანი.

რაც შეეხება ბოლო წინადაღებებს, როგორც წინა ბოლო, ისე უკანა ბოლო ვერ არის მარჯვედ შერჩეული სიტყვათშეხამება სხეულის რაგინდარა ნაწილის დასასახელებლად. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში აჯობებდა სხვაგვარად გადმოეცათ აზრი; მაგალითად, ან სიტყვა ბოლოს ნაცვლად ეხმარათ კიდე (წინა კიდე და უკანა კიდე), ან კი — წინასა და უკანას მაგივრად გამოიყენებინათ შესიტყვებები: წინა ნაწილი (წინა ნაწილის ბოლო) და უკანა ნაწილი, უკანა ნაწილის ბოლო)<sup>42</sup>.

სახელმძღვანელოებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სემანტიკური თვალსაზრისით შეუფერებელ სიტყვათშეხამებებს ქმნის ვითარების გარემოება. მაგალითად:

ხელეთი უფრო ჩეარა ციც დება, ვიდრე წყალი („ბუნება“, გვ. 45).

მარილი და სილა უცაბედად ერთმანეთში შეურიცეს (რევ, გვ. 83).

ზაფხულში ჰიდრა უცაც იცვებება („ზოოლ“, გვ. 26).

დაზუნი შეუპოვრად მუშაობდა ევოლუციური თვორის შესაქმნელად („ბიოლ“, გვ. 19)...

პირველ ორ შემთხვევაში ნაცვლად ზმნისართებისა ჩეარა და უცაბედად, საჭირო იყო გამოიყენებინათ ზმნისართი სწრაფად. მესამე მაგალითში იცვებება ზმნის მოქმედების დასახასიათებლად არ გამოღვება ვითარების გარემოება უხვად, ალბათ, უნდა ყოფილიყო: კარგად იცვებება. ბოლო წინადაღებაში კი მთლად მარჯვედ ვერ არის შერჩეული ზმნისართი ზმნისთვის მუშაობდა; შეუპოვრად, ჩვეულებრივ, ბრძოლას უკავშირდება (შეუპოვრად იბრძოდა), მუშაობას კი მეწყვილედ ენტრიციულად, დაუღალავად, თავგამოდებით ზმნისართები უფრო შეეფერებოდა.

წიგნებში ძირითადად, ბიოლოგის სახელმძღვანელოში) დასტურდება ისეთი მოუხერხებელი სინტაგმებიც, რომლებსაც ქმნიან ზმნა და სახელი. მაგალითები:

41 წინის წინა გამოცემაში ამ წინადაღებაში მგზნებარეს ნაცვლად იყო მსურვალე, მაგრამ არც მნიშვნელოვანი სახსახურია მოხერხებული სიტყვათშეხამება.

42 აღსანიშნავა, რომ ზოოლოგის სახელმძღვანელოს ბოლო გამოცემაში ერთ ადგილას ეს შესიტყვება გაუსწორებით კიდევ: შდრ. ძველ გამოცემში: „ლანცეტას სხეულის წინა ბოლოს გამოცნობა შეიძლება პირისა და... საცეცების მიხედვით“ (გვ. 116) და ახალში: „ლანცეტას სხეულის წინა ნაწილის გამოცნობა შეიძლება პირისა და... საცეცების მიხედვით“ (გვ. 111).

ბუნებაში ცალმხრივად განხორციელებული ცვლილებები უარყოფით ჴ დ ე გ ე ბ ს  
ი წ ვ ე ს („ბიოლ.“, გვ. 403).

იგი საფუძვლიანად გაეცნ სამეცნიერო ლიტერატურას და დ ე უ ფ ლ ა საველე  
გამოკვლევების მეთოდებას, კოლექციებისა და პერსარჩიმების ჴ დ გ ე ნ ა ს (იქვე, გვ.  
18).

ამ თანასაზოგადოებაში შემავდი სახეობები საბინადრო აღვილის ფიზიკური პირო-  
ბებისადმი მსგავს მოთხოვნებს იჩენენ (იქვე, გვ. 365).

კანის ზედაპირიდან ოფლის აორთქლება ა დ ი ღ ე ბ ს ორგანიზმის მიერ სითბოს  
გ ა ც ე მ ა ს („ადამ.“, გვ. 170).

მტაცებლები ბუნებაში ა ს რ უ ლ ე ბ ე ნ თავისუბრუ სანიტარულ ს ა მ ს ა ს უ რ ს  
(„ბიოლ.“, გვ. 409)...

მოყვანილ წინადადებებში ყველგან ბუნებრივი ქართულის თვალსაზ-  
რისით სემანტიკურად უვარებისი სინტაქსის გვაქვს. სახელდობრ: პირველ  
მაგალითში მოუხერხებულია სიტყვათშეხამება შედეგებს იწვევს, რადგან  
ზმნა იწვევს, მართალია, არა ერთსა და ორ სახელს უკავშირდება (ინტე-  
რესს, ტკივილს, ზიზქს, სიხარულს, ცვლილებას, ზრდას, მოსპობას,  
...იწვევს), მაგრამ მისი გამოყენება სახელთან შედეგები არ არის მიზან-  
შეწონილი; ენაში ჩევეულებრივია შესიტყვება შედეგებს იძლევა. უმარ-  
თებულო აგრეთვე მომდევნო წინადადებაში დადასტურებული სინტაგმა  
და უფლა შედგენას. ჩანს, ეს უხერხეულობა აქ გამოიწვია იმან, რომ შერ-  
წყმული წინადადების ზმნა-შემასმენელი სემანტიკურად უახლოეს წევრს  
დაუკავშირდა (დაუფლა მეთოდებას). მესამე წინადადებაში არ ვარგა შე-  
სიტყვება მოთხოვნებს იჩენენ, უნდა ყოფილიყო: (პირობებს) მოთხოვ-  
ნებს უყენებენ. მეოთხე მაგალითში უფრო მართებული სიტყვათშეხამება  
იქნებოდა: აძლიერებს... გაცემას. ხოლო ბოლო შემთხვევაში უხერხეული  
სინტაგმა აგრეთვე ასრულებენ სამსახურს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უმართებულო წინადადებებისა, სახელ-  
მძღვანელობებში, ძირითადად ისევ ბიოლოგიაში, არის სხვა ისეთი გაუმარ-  
თავი წინადადებებიც, რომელთა რამე ენობრივი ნორმის მიხედვით გას-  
წორებაც ჭირს და მათ საერთოდ სხვაგვარად სჭირდებოდათ აგება. ასე-  
თებია:

რისგანაა რომ ზოგი ნიადაგი მუქა? („ბუნება“, გვ. 109).

რატომ არის, რომ ატმოსფერო დედამიწის სფეროს არ შორდება და ბრუნავს მას-  
თან ერთაღ? (იქვე, გვ. 53).

რით დგას უფრო მაღლა ურინველების ზრუნვა შთამომავლიბაზე თევზებთან, ამ-  
ფიბიებთან და ქვეწარმავლებთან შედარებით? („ბიოლ.“, გვ. 194).

ამრიგად, ცილების უპირველესი ფუნქცია სამშენებლო დანიშნულებაა („ბიოლ.“,  
გვ. 155).

მასვე ვეუთვნის განუმეორებელი ნაშრომები ფოტოსინთეზს შესახებ ცოდნის პო-  
მულარიზაციის მიზნით (იქვე, გვ. 224).

უკანგბალი დაშვილის სტატიაში თავისუფლება დახლოებით ენერგიის 1/20 ნაწილი, რომელიც თავისუფლება უკანგბალიანი პროცესის დროს (ძველი, გვ. 219).

ქანგბალიან პროცესის დროს უკვე საფეხურზე განთავისულებული ენტრეიის რაოდნობა ბევრად მეტია უკანგბალ პროცესის თოთოელ საფეხურზე (იდე, გვ. 218).

ისინი გვერ კიდევ სამაროვ ღილი მტაცებლები იყვნენ, ვიღრე აღრინდელი აქსტრა-ლოპითეკები (ძევი, გვ. 131).

სხეულის ორგანიზაციის გამარტივებასთან ერთად, ამ ცხოველებს აქვთ მისაწორები და კაუჭები (იმპ. გვ. 103).

წყალცენარეთა გარეკვეული ნაწილი შეეგუა ახალ საბინადრო გარემოს — ხმელეთს, რომელიც თუმცა ქშირად იღებულია წყლით... (ძველი, გვ. 93).

ମାସ ମେଘଦୂଷଣବାହି କ୍ଷେତ୍ରନାଥ... ପାଇଁ, ଏହା ଶାରମାତ୍ରେବେଳ ଶୁଦ୍ଧିରୁନ୍ମେଲୁଗନ୍ତେ ଏହା ଶାକ୍ତ-ତାତ୍ତ୍ଵର ତାତ୍ତ୍ଵରୁ ଶତାମରମାତ୍ରାନବୀତ (ୱେଳ, ପା. 20)...

ჩანს, ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის ენობრივი დარღვევები გამოწვეულია თარგმნის სპეციფიკით.

ბოლოს, ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოებში ზოგ შემთხვევაში შეინიშნება პუნქტუაციური სახის დარღვევებიც.